საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ნინო აბუსელიძე

,,ბრბოს ფსიქიკა და ქართული პროზის სამართალი''

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ფილოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მანანა თავდგირიძე - ასოცირებული პროფესორი

ხიჭაური

2020

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ჩემი ორიგინალი ნამუშევარი, ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ და ნააზრევ შეხედულებებს კონკრეტული საკითხის მიმართ. ნებისმიერი აქამდე გამოქვეყნებული სხვა ავტორების მიერ ციტირებული სიტყვები წარმოდგენილია ყოველგვარი წესების დაცვით.

თარიღი:23.07.2020

სახელი-გვარი: ნინო აბუსელიძე

სარჩევი

1.ანოტაცია.....გვ.4

2.შესავალი.....გვ.6

3.თავიI.ბრბოს ფსიქიკის რაობა.....გვ. 10

4.თავიII. ილია ჭავჭავაძე ბრბოს ძალადობრივი სამართლიანობის წინააღმდეგ…….....გვ.16

5.თავიIII.მიხეილ ჯავახიშვილი ბრბოს სამართლიანობის მსაჯული.....გვ. 14

6. თავი IV. ბრბოს მსხვერპლი „ნატვრის ხის“ პერსონაჟები გვ.19

7.დასკვნა.....23 გვ.

8.გამოყენებული ლიტერატურა.....გვ.25

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ,,ბრბოს ფსიქიკა და ქართული პროზის სამართალი'' ეძღვნება აქტუალურ თემას - ბრბოს ფსიქოლოგიას და მასში დასმული პრობლემატკის კვალდაკვალ გააანალიზებულია ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანჩურა“ და ეშმაკის ქვა“, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“.

ბრბოს ფსიქოლოგია ოდითგანვე წარმოადგენდა კვლევის საგანს და დღესაც არ კარგავს აქტუალობას იმდენად, რამდენადაც მოცემული თემა ისევ წარმოადგენს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში პრობლემატურ საკითხს. ისევ დგას დღის წესრიგში განსხვავებულის მიუღებლობა. ჯერ კიდევ ქრისტემ მიანდო ადამიანის ნამუსს სხვისი ბედი: „პირველი იმან ესროლოს ქვა ვინც ფიქრობს რომ დამნაშავე არ არის“ და ასე მიუთითა მათ ცოდვილ სულზე, მაგრამ კაცთა მოდგმამ არ გაამართლა ქრისტეს ნდობა. დღემდე ადამიანი ხშირად ,სწორედ, რომ ქვის პირველ მსროლელად გვევლინება და მოკლებულია ტოლერანტობას.

Annotation

This work is dedicated to the actual topic as crowds psycology. In this work as a crowd psycology is analysed stories such as: “Sarchobela” – “Gallows” by Ilia Chhavchavadze, “Chanchura” – “Clumsy” and “Evil’s stone” by Micheil JavakhiSvili, “Wishing Tree” by Giorgi Leonidze. From The ancient time crowd psycology was actual as it is nowadays, it has not lost its effect because it is a main problem in modern society too. Not accepting differences is modern world huge trouble. Yet the Christ gave faith to people of other people’s luck “by saying – “ let him who is without sin among you be the first who cast a stone to her” so, the Christ pointed to their sin souls, but humen has not justified Christ trust. So, nowasdays, people mostly are the first stone thrower and they lack the tolerance. This work aims to mace new generation think how they are obliged to other people’s prosperity, how dangerous they are to become indomitable and uncontrollable crowds collaborator, how they can lose identity,moral and do evil things with them thoughtlessy.

შესავალი

ბრბოს ფსიქოლოგია - ეს არის მრავალწახნაგოვანი თემა, რომელიც ყოველთვის იყო, არის და სამარადჟამოდ დარჩება აქტუალური კვლევის საგნად. ადამიანის ფსიქოლოგია არის ამოუცნობი, მიუწვდომელი, მოუხელთებელი ფენომენი და ბრბოს ფსიქოლოგია, ამ ყველაფერთან ერთად, არის რამდენადმე დრეკადიც. როცა ბრბოს ფსიქოლოგია ამუშავდება ადამიანებში, თითქოს ყველა გაუცნობიერებლად იწყებს ერთმანეთის მორჩილებას და საერთო ბოროტული მიზნისკენ სწრაფვას. თითქოს ადამიანები ჰიპნოზურ მდგომარეობაში არიან. ამ ყველაფერს მანამდე აქვს ზემოქმედების ძალა, სანამ ბრბო პირნათლად არ შეასრულებს თავის მისიას.

ბრბოს ფსიქოლოგია არ არის უცხო მხატვრული ლიტერატურისთვის. აღნიშნულ პრობლემატიკას უამრავი ქართული თუ უცხოური ლიტერატურული ნაწარმოები ეძღვნება. ჩვენი ნაშრომი ამ საკითხზე შექმნილ რამდენიმე ნაწარმოებს ეხება, კერძოდ, ესენია: ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვა“ და „ჩანჩურა“, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“.

საინტერესოა, რა აქცევს ადამიანს მსხვერპლად ლიტერატურულ სამყაროში თუ რეალურ ცხოვრებაში. ალბათ, ის რომ ზვარაკის განსხვავებულობა, ბრბოში იწვევს ზიზღს, თუნდაც ეს იყოს მარიტას ღვთაებრივი მშვენიერება ან თუნდაც ჩანჩურას საშინელი სიმახინჯე. ერთ შემთხვევაში ბრბოს შურს მარიტას ღვთაებრივი, მიუწვდომელი სილამაზის, შინაგანი და გარეგანი სილამაზის ჰარმონიული ნაზავის. მეორე შემთხვევაში კი გაურბის და თავს არიდებს ჩანჩურას უსაზღვრო სიმახინჯეს.

სადაც ბრბოა იქვე აქვს მტრობასა და შურს ბინა დადებული, ეს ყოველივე პირდაპირ კავშირშია დედამიწაზე არსებული სამოთხის ჯოჯოხეთად გადაქცევასთან. როგორც ილია ამბობს:

„იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთია,

სად თავის შხამს ათხევს მტრობა და შური“.

განა რა ჰქონდათ მარიტასთან გასაყოფი თანასოფლელებს თუ არა მასში არსებული სულიერი და ხორციელი სილამაზის მიმართ შური და მტრობა, ბაზრის ბრბოს - ჩანჩურას სიმახინჯის მიმართ მტრობა, თანასოფლელებს - ქურდი მგლის ლეკვის მიმართ მტრობა, სოფლისა და ქალაქის ბრბოს - უწვერული ძმების მიმართ მტრობა. სწორედ მტრობასა და შურს, ჩაგვრასა და უთანასწორობას მიჰყავს ადამიანი მორალურ სიბრმავემდე. მორალური სიბრმავე კი მხოლოდ და მხოლოდ ბრბოსთვისაა დამახასიათებელი.

სამაგისტრო ნაშრომში გავეცნობით ბრბოს ფსიქოლოგიას იმ ადამიანების მაგალითზე, რომელთაც შეიძლება თავი უბრალო რიგით მაყურებლებად მიაჩნდათ - მარიტას დამამცირებლებს, ჩანჩურას დამაკნინებლებს, მგლის ლეკვის დამსჯელებს, ძმის ჩამომხრჩობლის მაყურებლებს. თუმცა ისინიც ისეთივე პირდაპირი დამნაშავენი იყვნენ, როგორც ციციკორე, სოფიო, არტუშა და პეტრე. მათ ყველას ერთად შეგვიძლია ვუწოდოთ ციციკორეები, სოფიოები და ა.შ.

ტრაიდის აზრით: „ბრბო სხვადასხვაგვაროვან ერთმანეთისთვის უცნობ ელემენტთა გროვაა. მხოლოდ ვნების ნაპერწკალი, რომელიც გადაეცემა ერთიდან მეორეს და მუხტავს ამ უმწყობრო მასას, აძლევს მას უეცარ, თვითნებურად ჩასახულ ორგანიზაციას. დაქსაქსულობა გადადის კავშირში. ხმაური იქცევა რაღაც ურჩხულისებურ ძალად, რომელიც მიზანს ესწრაფვის დაუოკებელი სისწრაფით. უმრავლესობა აქ მოსულია ცნობისმოყვარეობით აღტყინებული, მაგრამ ციებ-ცხელება, რომელმაც რამდენადმე მოიცვა, უეცრად ეუფლება ყველას ესწრაფვის ნგრევას. ადამიანი, რომელიც მოეშურებოდა მხოლოდ იმისთვის რომ ხელი შეეშალა უდანაშაულოს მკვლელობისთვის - ერთ-ერთი პირველი ესწრაფვის ადამიანის მკვლელობას (http://socium.ge/downloads/protosocteoria/brbosa-da-elitis-teoria.pdf).

ტრაიდის ეს აზრი ნათლად ეხმიანება ჩვენ მიერ განხილულ პროზაულ მხატვრულ ნაწარმოებებს. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „სარჩობელა“ უცხო

ადამიანები ვნების ცეცხლმა შეიპყრო - უნდოდათ, ეხილათ ადამიანის ჩამოხრჩობა და დამტკბარიყვნენ სანახაობით. ნაწარმოებში „ეშმაკის ქვა“ სოფიო ისეთივე პირველი ქვის მსრლოლელი და ჩამქოლავი გახდა დათასი, როგორც სხვები.

სიგელე ამბობს: „ყველაფერი დაწყებული ტანსაცმლის მოდით და დამთავრებული მმართველობით, პატიოსანი ქცევა და დანაშაული, თვითმკვლელობები და სიგიჟე, ყველაფერი, როგორც უმნიშვნელო, ისევე ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანთა ცხოვრების, როგორც ყველაზე მოსაწყენი, ისე მხიარული გამოვლენანიც - ყველაფერი მიბაძვის პროდუქტია“ (http://socium.ge/downloads/protosocteoria/brbosa-da-elitis-teoria.pdf). აქ საინტერესო ის არის, რომ ადამიანები რატომღაც ცუდს, ბოროტს უფრო მეტად ბაძავენ, ვიდრე კეთილს. ცხადია, ამასაც ალბათ, რაღაც თავისებური მიზეზი აქვს...

ნათქვამია „ის რაც არ კლავს, აძლიერებს“. ბრბოს ფსიქოლოგია კი სწორედ ის შემთხვევაა, როცა დანაშული იმდენად მძიმეა, რომ მსხვერპლი საბოლოოდ ეწირება მას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრბოს უმსგავსო და საშინელი დანაშაული ხშირად დაუსჯელი რჩება. დაუსჯელი რჩება ხშირად თანამედროვე სამყაროშიც იმ განსხვავებით, რომ აქ ბრბოს მიმართ პროტესტანტების რიცხვი უფრო მეტია ან ხშირად თვითონ პროტესტანტი ხდება ბრბოს მსხვერპლი. ლებონის სიტყვებით: „ბრბოს ფსიქოლოგია ინდივიდთა ფსიქოლოგიისგან განსხვავებულია“ (http://socium.ge/downloads/protosocteoria/brbosa-da-elitis-teoria.pdf).

ამ სიტყვების რეალობა ცხადად ჩანს „ეშმაკის ქვაში“ - სოფიო, გმირი, რომელიც ყოველგვარ სიკეთესთან ასოცირდება, თვითონაც ერთ-ერთ პირველ ქვის მსროლელად, ერთ-ერთ პირველ ჩამქოლავად გვევლინება. ცალკე სოფიო, როგორც პიროვნება, ხასიათდება უსაზღვრო სიკეთით, სათნოებითა და მზრუნველობით, თუმცა ბრბოს აღმოჩენის შემდეგ, ის კარგავს ყოველგვარ იდენტობას. ის უერთდება ახალი ერთობის სულს და იძენს „ახალ ფსიქოლოგიურ ნიშნებს“ (გუსტავ ლებონი)

ნაშრომში უფრო ნათლად გავეცნობით ამ საკითხის პრობლემატიკას, უშუალო ფაქტებსა და გამოვლინებებს - განხილული ნაწარმოებების პერსონაჟების მაგალითზე. სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია ილია ჭავჭავაძის მიერ დანახული ბრბოს სამართალი, მიხეილ ჯავახიშვილის გონებით შეფასებული ჩანჩურა, სოფიო და გიორგი ლეონიძის ჯალათი ბრბო.

თავი I. ბრბოს ფსიქიკის რაობა

ბრბო არის ერთეული, რომელიც კაცობრიობის გაჩენის დღიდან არსებობს. ბრბოს ელემენტები, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ ადამისა და ევას ქცევაში შეიძლება ვეძიოთ იმდენად, რამდენადაც ბრბოსთვის დამახასიათებელია შეცდენა, საერთო მავნებლურ საქმეში სხვისი აყოლიება. ადამის შეცდენა ევას მხრიდან და აკრძალული ხილის მირთმევა სწორედ, ის მავნებლური საქმე იყო, რამაც ინდივიდებში გამოაჩინა ბრბოს ფსიქოლოგიისა და საერთო მავნებლური საქმისკენ ლტოლვა. ფსიქოლოგი ლებონი ბრბოს უწოდებს ადამიანების ნებისმიერი სახის შეკრებას, რომელსაც ორი ნიშნის საფუძველზე აჯგუფებს. პირველი ეს არის ისეთი თავშეყრა, როდესაც ადამიანები ერთმანეთს უკავშირდებიან საერთო ბელადის საშუალებით. მეორე თავშეყრა კი რასობრივ ერთიანობას მიეკუთვნება.

ბრბო გახლავთ ადამიანების რაღაც ნაწილი, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს ნებისმიერი დასახლების კონკრეტულ წრეს ან ზოგადად მთელ საზოგადოებას. თითოეული მისი წარმომადგენელი არის თითქოსდა რაღაც გამოასავალის ძიება დამნაშავე ადამიანების „გამოსასწორებლად“, მაგრამ ძირითადად ეს მცდელობა ასაზრდოებს მათ ქვეცნობიერში ჩამამალულ თუ სააშკარაოზე გამოტანილ მზაკვარ ბუნებას. ცნობილი ფაქტია, რომ ბრბო სულიერი ღირებულებებისაგან დაცლილია. ის მხოლოდ და მხოლოდ სისხლითა და ცოდვით გაჯერებული ვნებებით საზრდოობს, მოძრაობს. სწოორედ, მოძრაობაში წარმოჩნდება მისი უსაშინელესი ჩვევანი, რაც მას ღუპავს კიდეც როგორც სულიერად, ისე ხორციელად.

ბრბოს კანონებით შექმნილი რეალობა მუდმივად აისახებოდა ხელოვნებაში, ლიტერატურაში... ხალხის ამ მასის თითქოსდა სიმართლის დამცველის სტატუსით შიგნიდან წამოსული ბოროტი ძალა წესისამებრ სისხლსმღვრელ სტიქიაში გადადის

და მათ მიერვე „დამნაშავედ“ მიჩნეულ და დაუცველ ადამიანებს ასამარებს. ძირითადად გადაწყვეტილებას ერთი ადამიანი იღებს და ძირითადად მის ნებას აღასრულებს სხვები - ზოგიერთი კიდეც ხვდება უდანაშაულო ადამიანის დასასჯელად გამოტანილი განაჩენის სისატიკეს, მაგრამ მიუხედავად უსამართლობისა, მაინც არ ეწინააღმდეგება, არ იცავს მსხვერპლს და უმოქმედობით სასიკვდილოდ იმეტებს. ისინი ბრბოს რკალში ექცევიან, ინიღბებიან თუმცა მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა, მაინც ნათლად ჩანს მათი ნამდვილი, პირსისხლიანი სახე და ბრბოს მიერ დასჯილ „დამნაშავესთან“ ერთდ სულიერად კვდებიან. ხორცის დედამიწაზე დარჩენას რაღა აზრი აქვს.

ბრბო ადამის მოდგმის ნაირგვარი მასაა, რომელსაც ადამიანები სუიციდამდე მიჰყავს, ანადგურებს და უამრავს ცოდვას ჩაადენინებს ხოლმე. ბრბოს ღირებულებები პატიოსნების მცველ კანონმდებლობაზე გადის, მაგრამ ამ ღირებულების დაცვაც როგორ ხდებოდა, ცალკე განსჯის საკითხია. თემიდას სამოსელში შებურვილნი არ დაგიდევენ შედეგად სიძულვილი, სიკვდილი და უამავი ცოდვა მიჰყვებოდა მათ მიერ სისრულეშ მოყვანილ გადაწყვეტილებებს. აქ არავის აინტერესებს ბრბოს კლანჭებში მოქცეული მსხვერპლის გრძნობები, ფიქრები, განცდები, გულისტკივილი. ყველაფერი სიყვარულისგან არის დაცლილი და ვინმეს პატიებაც შეუძლებელია. ღმერთის გზას აცდენილებს ეშმაკი ეპატრონება. ბრბო სამწუხაროდ, განსაკუთრებით ადამიანის სულიერებას რყვნის.

კაცობრიობისთვის აქტუალური და პრობლემატური საკითხის - ბრბოს ფსიქოლოგიის - გამოკვლევა ბევრმა მკვლევარმა და ფსიქოლოგმა დაისახა მიზნად. ერთ-ერთი მათგანია აღიარებული ფსიქოლოგი გუსტავ ლე ბონი, რომელიც თავის ნაშრომში ,,ბრბო’’ წერს, ბრბოში მოხვედრის შემთხვევაში ბრმავდება ადამიანი, საღად აზროვნების უნარს კარგავს, რეალობას რეალურ ფერებში ვეღარ აღიქვამს და მისდაუნებურად ხდება ბრბოს გადაწყვეტილებების მორჩილი.

მრავალგვაროვან ბრბოში გამოიყოფა ორ ჯგუფი - ანონიმური და არაანონიმური ბრბოს. ანონიმურს მიეკუთვნება ქუჩაში შემთხვევით თავშეყრილი ხალხი, როგორც ეს მაგალითად „სარჩობელაზედ“ შემთხვევაშია.

ერთგვაროვან ბრბოში ფსიქოლოგი განასხვავებს სამ ჯგუფს, ესენია: 1.სექტები 2.კასტები 3.კლასები. მათ მრავალგვაროვანი ბრბოსგან განსხვავებით აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა. ლებონს მიაჩნია: მაშინაც კი როცა ბრბო დანაშაულს ჩადის, თავს დამნაშავედ არ გრძნობს, პირიქით, ფიქრობს, რომ თავისი წილი ვალდებულება შეასრულა ბრბოს ანუ საზოგადოების წინაშე. ალბათ, აქ მართებული იქნება ლებონს თუ დავეთანხმებით, რადგან ციციკორე და მას აყოლილი მარიტას მსაჯულები, მართლაც მათ მოვალეობად და პასუხისმგებბლლობად მიიჩნევდნენ მირონის დამქცევთა დასჯას. ამის ნათელი მაგალითია ციციკორეს სიტყვები: „მირონი დააქციეს, ტალახში შარიეს, ქვეყანა შეგვიგინეს, გაუგონებელი ამბავია, ძნელად დასაჯერებელი, ქვეყნის გადაჯიშების ნიშანია სწორედ! მერე ვის დროს ხდება: ჩემს ხელში! ღმერთიც მე მომთხოვს პასუხს და ჩამომავლობაც“ (ქართველი მწერლები სკოლაში, გიორგი ლეონიძე გვ231).

მარტოდ მყოფი ადამიანის მახასიათებელი თვისება არის გააზრებული, გაცნობიერებული ქმედება, ბრბო კი განსხვავებულად იღებს გადაწყვეტილებას, კერძოდ გაუცნობიერებლად. (ლებონი) ამ სიტყვებით ლებონმა მიუთითა ინდივიდისა და ჯგუფის ფსიქოლოგიებს შორის განსხვავებაზე. ბრბოს მახასიათებელ თვისებებში დომინანტია იმპულსური მდგომარეობა, განსჯის უნარს მოკლებული მოქმედება და კრიტიკას მოკლებული დამოკიდებულება ყველაფრისადმი და გადაჭარბებული მგრძნობიარობა (http://socium.ge/downloads/protosocteoria/brbosa-da-elitis-teoria.pdf).

გარდა ამისა, ბრბო არის უკონტროლო მასა, რომელიც მანამ არ მშვიდდება, სანამ დასახულ მიზანს ბოლომდე არ მიაღწევს. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი,

ინდივიდმა დაიბრუნოს თავისი პირვანდელი სახე და უკეთეს შემთხვევაში მიეცეს სინანულის გრძნობას...

ვფიქრობთ, ადამიანების კავშირი, დროებითი მაგრამ მაინც ბრბოს სახით რომ არ ყოფილიყო წარმოდგენილი, არც საზოგადოება იქნებოდა დაუნდობელი და გაბოროტებული. რომ არა ამგვარი სისხლიანი კავშირის არსებობა ქალაქსა თუ სოფელში, ადამის მოდგმისანნი არ დაეცემოდნენ. სისხლი ჩადგა ნაპირის სხვადასხვა მხარეს დარჩენილ ადამიანებსა და საზოგადოებას შორის, თორემ შესაძლებელი იქნებოდა მათი დამარცხება, დაშორიშორებული საზოგადოების გაერთიანებაცა და პირსისხლიანი ბრბოს „სამართლიანობის“ დამარცხებაც. ცოდვა და ბოროტება ვერ გაბატონდებოდა მოკვდავთა სულსა და აზროვნებაში... ბრბოს მასაში ადრე მესამედი ნაწილი მაინც იქნებოდა მიამიტი, გულწრფელი და მიმნდობი, თუმცა ისინიც ბრბოს სტიქიის ნაწილად იქცნენ და ისე წალეკა ბრბომ, როგორც საზოგადოების გულგრილობის შედეგად დამნაშავეებად ქცეული ძმები, ,,ჩანჩურა“, ,,მარიტა'' და კიდევ უამრავი სხვა.

ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში ,,სარჩობელაზედ'' პეტრეს მიერ დანახული ძმების ტრაგედიაა და უამრავი ასეთი მოთხრობა დაწერილა და კიდევ დაიწერება, რომლის მიხედვითა, ბრბოს მიერ ადამიანთა სიკვდილის დასჯა სანხაობად და გართობის საშუალებად ქცეულა. მათ ერთი რამ აკავშირებს, ჩატეხილი ხიდი, რომლის ერთ მხარეს პიროვნებაა, მეორე მხარეს კი - საზოგადოება.

ხშირად ჩნდება კითხვების ბრბოს შექმნის პრინციპებისა და მისი აგრესიული მოქმედებების გარემოებათა შესასწავლად. კონკრეტულად, რა დროს, რა ვითარებაში და რისთვის ყალიბდება ეს უკანასკნელი. ამ შეკითხვებზე პასუხების გაცემას ისეთი კონკრეტული გარემოებანი ჰფენს ნათელს, როგორიცაა პასუხისმგებლობის დიფუზია, დეინდივიდუალიზაცია, აგრესიის გამოხატვის საშუალება, კოლექტივის წევრობა, ლიდერობა და შიშის დაძლევა.

პასუხისმგებლობის დიფუზიის შემთხვევაში ერთმანეთს უკავშირდებიან აგრესიული სულისკვეთების, აღტკინებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, რომელთაც ფარად აქვთ აღმართული უდანაშაულო კაცის სახელი და ასე შენიღბული ძალადობს ბრბოს კლანჭებში ჩავარდნილ მსხვერპლზე.

დეინდივიდუალიზაციის დროს ბრბოში მოხვედრილი ადამიანები ერთმანეთს საოცრად ემსგავსებიან და საუბარი ზემდეტია მათი თავისთავადობის შენარჩუნებაზე, მარტივად თმობენ ინდივიდუალობას.

ფსიქოლოგები როგორც ფიქრობენ, ადამიანში ძალადობრივი ენერგიის, აგრესიის გამოხატვის საშუალებანი უკავშირდება მასში დაგროვილ, მცირე დოზით თვითრეალიზებული ენერგიის მოჭარბებას. ეს უკანასკნელი იწვევს კიდეც აგრესიის დანაშაულად ქცევის მოთხვნას და მის მატარებელ ადამიანში აგრესია სტიქიურ სახეს იღებს.

ბრბოს წევრობა ერთგვარად კოლექტივის წევრად ყოფნას გულისხმობს და მცდელობაა საზოგადოებაში უნაკლო, უცოდველის სტატუსის მატარებელი წევრის წარდგენისა. ამავდროულად, მის წევრებს ლიდერი დახმარებას უწევს თავისი ზოგადი, აბსტრაქტულ განზომილებაში გადატანილი იდეებისა და ამოცანების მიწოდებით. თითქოსდა, ყველანი ერთიანდებიან მოჭარბებული შიშის წინაადმდეგ, მოქმედებენ მის დასაძლევად და ამ პროცესშიც ჩნდება უძლეველობის განცდა.

ტრადიციულად, ბრბოს აქტიური მოქმედებები დიდ ხანს არ გრძელდება, სწაფადვე იწყებს შემცირებას და ეგრეთ წოდებული სამართლიანობის აღდგენის შემდეგ მის წევრებს სინდიდის ქენჯნა ეწყებათ და მომხდარის გამო, შეიძლება სინანულის გრძნობაც კი ჩამოუყალიბდეთ, მაგრამ არც ამას აღიარებენ ხმამაღლა და ღიად ამართლებენ ბრბოს თემიდას მისიას.

„ცალსახა პასუხი იმის შესახებ შეიძლება თუ არა ყველა ადამიანი იქცეს ბრბოს წევრად, არ არსებობს, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ბრბოს წარმოშობას თან სდევს

რაიმე მნიშვნელოვანი ემოციური მოვლენათა წყება, რაც თავისი მნიშვნელობით ცალკე აღებულ ადამიანზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. თუმცაღა იმისდა გათვალისწინებით, რომ ყველასათვის არსებობს რაღაც ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი, შესაძლოა მის ირგვლივ წარმოქმნილმა ფაქტორებმა ადამიანი თავისდა უნებურად აქციოს უმართავი ბრბოს წევრად“ http://education.ge/index.php?do=definition%2Fview&id=1364&fbclid=IwAR1vCRftdCHfNJcV0_sThRPorKKpdOmeZ5A-PT0TH2bpfyL9GYDoXbOP6W0.

მასის ფსიქოლოგიის ზოგადი თვისებაა მაქსიმალური აქცენტი ირაციონალურობასა და სწრაფ მოქმედებაზე. რაც მეტადაა ადამიანთა ჯგუფი აგრესიული და უკონტროლო, მით უმეტად ახდენს იგი ზეგავლენას სხვა მასობრივ ჯგუფზე. ჯგუფის წევრებს ამ დროს დაკარგული აქვს თავის მართვის სურვილი და უნარი.

თავი II. ილია ჭავჭავაძე ბრბოს ძალადობრივი სამართლიანობის წინააღმდეგ

ილია ჭავჭავაძის ღვაწლი და დამსახურება ქვეყნისა და ხალხის წინაშე ერთი ადამიანის შესაძლებლობებს მრავალგზის აღემატება და გვაოცებს. თავის თანამედროვე საქართველოში არ დარჩენილია არცერთი საკითხი რომ არ ეზრუნა და პრობლემა ხალხის სასიკეთოდ არ გადაეწყვიტა. მისმა სათაყვანებელმა სამშობლომ სიცოცხლეშივე ამიტომაც უწოდა ერის მამა და მოწამეობრივი აღსრულების შემდეგ წმინდანად შერაცხა. ილია ჭავჭავაძე ეს არის პიროვნება, რომელმაც XIX საუკუნეში კაშკაშა მზესავით გამოანათა და დღემდე სულსა და გულს უთბობს ქართველ მკითხველს, დღემდე უნათებს პრობლემებით სავსე სავალ გზებს ქართულ საზოგადოებას. ილიამ, როგორც ღვთისნიერმა ადამიანმა, როგორც საზოგადო მოღვაწემ, როგორც ეროვნულ-განმანთავისუფლებლი მოძრაობის სულისჩამდგმელმა და ლიდერმა, როგორც მწერალმა, პოეტმა, პუბლიცისტმა და კრიტიკოსმა შეძლო XIX საუკუნის მნიშვნელოვან პირთა პირველ რიგებში ყოფნა როგორც ჭინამძროლად ერისა, შეძლო დაესახა და გაეანალიზებინა იმ პერიოდის მოთხოვნები, პრობლემები და ამ პრობლემების გადჭრის გზებიც, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

ილია მართალი არის შემოქმედი, რომელსაც არასდროს არ დასჭირვებია პოპულარიზაცია, რადგან ქართველმა ხალხმა პირმართალი პატრიოტი უპირობოდ შეიყვარა და დღემდე ეფერება მას როგორც განსაკუთრებულს. როგორც იაკობ გოგებაშვილი წერდა, მსოფლიოში ისეთი განუსაზღვრელი მნიშვნელობა არ მშობლიური ქვეყნისა და ხალხისათვის, რამდენიც ილია ჭავჭავაძეს (ჭავჭავაძე,

გამომც: „საქართველოს მაცნე“ I ნაწ გვ:6). მწერალს ასევე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და ერთ-ერთ საუკეთესო შეფასებას ტიციან ტაბიძე: „მე-19-ე საუკუნე საქართველოში ილიამ კიდეც მოიგონა, კიდეც შექმნა და თავისი სისხლით კიდეც დაჰკირა“. დიახ სისხლით, რომელიც ქართველმა ხალხმა ადინა ილიას წიწამურთან. „წმ. ილია გააფრთხილეს, რომ მოკვლას უპირებდნენ, მაგრამ მაინც არ გადაიფიქრა საგურამოში გამგზავრება იმ საბედისწერო დილას 1907 წლის 30 აგვისტოს.

წიწამურთან იქუხა თოფმა. სასიკვდილო ტყვიამ გული დაუფლითა წმინდანს, ორი ტყვია თავში მოარტყეს. მტერს სურდა მამულიშვილის გულის ფეთქვა და გონების მუშაობა შეეწყვიტა, ყველაზე საშიში მოწინააღმდეგეები დაედუმებინა...“ წერს ლალი დათაშვილი ((ჭავჭავაძე, გამომც: „საქართველოს მაცნე“ I ნაწ გვ: 35,).

როგორც ვხედავთ მოხუცი ილია ჯერ კიდევ ისეთ შიშის ზარს სცემდა მტერს, რომ მისი სიცოცხლის მოსპობა გადაწყვიტეს. თუმცა, ცხადია, მტერს სამართლიანად ეშინოდა მისი. მოხუცს, ხალხის სულში სიყვარულით ფესვებგადგმულ შემოქმედს, სიტყვითა და მოწოდებით იმაზე მეტად შეეძლო, ზიანი მიეყენებინა მტრისთვის, ვიდრე სხვას!

1906 წელს ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. ის ჩრდილოელი დამპყრობელის უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაში იბრძოდა ჰუმანური კანონების მისაღებად, სწორედ, მის სახელს უკავშირდება ბრძოლა სასჯელის უკიდურესი ფორმის გასაუქმებლად ამავე წელს რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ორგანომ აღიარა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა უსასტიკესი დამნაშავის სიცოცხლის აღკვეთის შესაბამისი კანონის გაუქმებას. კანონის მისაღებად აუცილებელი იყო სახელმწიფო საბჭოს თანხმობა. რეფორმას უდიდესი წინააღმდეგობა მოყვა, სიახლეს უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით კანონპროექტი არ დამტკიცა, ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ბრძოლა მარცხით დასრულდა. სახელმწიფო საბჭოს მეორე

სესიამ მოხსნა აღნიშნული კანონპროექტის განხილვა დღის წესრიგიდან (tabula.ge ქეთი დობაძიშვილი).

მართალია, ილია ჭავავაძემ ზემოთაღნიშნული არსებული გარემოების გამო, ვერ შეძლო სიკვდილით დასჯის გაუქმება, თუმცა აღსანიშნავია ოლღა გურამიშვილის საოცრად ჰუმანური გადაწყვეტილება: „ილიას მეუღლემ, ოლღა გურამიშვილმა, თავისი თანამეცხედრის მკვლელებს შეუნდო და სასამართლოსაც სთხოვა, ლექსი „ლოცვა“ მწერლის ანდერძად ჩაეთვალათ და სიკვდილი არ მიესაჯათ ილიას მკვლელთათვის“ (ჭავჭავაძე, გამომც: „საქართველოს მაცნე“ I ნაწ გვ: 98)

ილია თითქოს წინასწარმეტყველურ ნიჭს იჩენს ნახსენებ ლექსში:

„რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა

გულს ლახვარი მკრან,

გთხოვდე შეუნდე, არ იციან ღმერთო, რას იქმან“.

(ჭავჭავაძე, გამომც: „საქართველოს მაცნე“ I ნაწ გვ:96)

და აქ ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი, იჩენს უაღრესი შემწყნარებლობის ნიჭს, რაც მხოლოდ მადლიან კეთილის მოქმედ პიროვნებას შეუძლია, თუმცა ილია ხომ სწორედ ამისკენ მიილტვოდა ყოველთვის. რაც კარგად ჩანს მის ლექსში - „უსულდგმულო ცხოვრება“ :

„ნეტავ ვინც კარგის საქმით

აღნიშნავს თავის დროს!

ის აქავ ეწაფება

უკვდავების წყაროსა“.

(ჭავჭავაძე, გამომც: „საქართველოს მაცნე“ I ნაწ გვ:102)

და მართლაც ილია დაეწაფა უკვდავების წყაროს იმდენად, რამდენადაც მისი სახელი, მისი სიტყვა ნაანდერძალი, მისი მოწოდებები დღემდე არ კარგავს მნიშვნელობასა და აქტუალობას საქართველოში. „წმინდა ილიას ბოლო სიტყვები „რას სჩადიხართ, ილია ვარ!“ - დღესაც ჩაესმის ყოველ ქართველს, როგორც დედოზარის გუგუნი სირცხვილის დასიამაყის მომგვრელი. სირცხვილის, რადგან ერთხელ კიდევ გავიმეორეთ საშინელი ცოდვა. სიამაყისა იმიტომ რომ კიდევ ერთი მოწამე შეემატა ზეციურ საქართველოს“ წერს ლალი დათაშვილი (ჭავჭავაძე, გამომც: „საქართველოს მაცნე“ I ნაწ გვ: 36)

გლახის ნაამბობში ილია წერს: „კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ თუ არა თვითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს“ (ჭავჭავაძე გამომცემლობა “პალიტრა L” 2012 გვ:204) უამრავი ასეთი ხიდი გასდო ილია ჭავჭავაძემ ქართველი კაცის ცხოვრებაში, როგორც თავისი ღვთისმადლიანი სიცოცხლით, ასევე სიკვდილითა და საკუთარი სისხლით. აი რა მიაჩნდა ილიას სწორი ცხოვრების მთავარ არსად: „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა“. (ჭავჭავაძე გამომცემლობა “პალიტრა L” 2012 გვ:204)

როგორც ხედავთ, ილია ჭავჭავაძე, მართლაც, განსაკუთრებული პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში. როცა მას ვახსენებთ ისიც აღსანიშნავია, რომ მისი შემოქმედების ყოველი ნიმუში კონკრეტულ მიზანს ემსახურება. სწორედ ამიტომაა მისი შემოქმედების ძირფესვიანად შესწავლა საჭირო! ილია შემოქმედი ადამიანის არსს ნათლად განსაზღვრავს თავის ლექსში „პოეტი“:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო

ვით ფრინველმა გარეგანმა“.

ამავე ლექსში პოეტი წერს:

„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,

რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

მართლაც მწერალი დღენიადაგ ერის სამსახურში იდგა. მისი ნიჭიერება კი ვფიქრობ, იმდენად მასშტაბური იყო. იგი არა მარტო საკუთარ ერს არამედ ნებისმიერი ერისა თუ ეპოქის საზოგადოებას საუკეთესო მეკვლეობას გაუწევდა.

ილია ჭავჭავაძე სიტყვას საქმედ აქცევდა და საქმეს სიტყვას. მის უზადო მოღვაწეობას ნიადაგს უმაგრებდა და ამყარებდა ჰარმონიული დამოკიდებულება ამ გარემოებებისა. ამის ნათელი მაგალითია მოთხრობა „სარჩობელაზედ“, რომელიც მისთვის მიუღებელ ბრბოს გადაწყვეტილებასა და სიკვდილით დასჯის აკრძალვის მოთხოვნას ეძღვნება. ილიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ნაწარმოებს, ილია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო, რაც პოეტის თავისთავადობის, ადამიანურობის, მორალურ სიმაღლისა და ჭეშმარიტი ქრისტიანობის მაჩვენებელია. მოთხრობა „სარჩობელაზედ“ დღესაც აქტუალური ნაწარმოებია, იმდენად, რამდენადაც აქ ვხვდებით თანამედროვე საზოგადოებისთვისაც დამახასიათებელ მანკიერ მხარეებს, მის გულგრილ, დანაშაულებრივ დამოკიდებულებას პიროვნების პრობლემებისადმი, ადამიანის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებისადმი.

ბრბოდ შეკრებილი ადამიანების უგულობა კვებავს ილია ჭავჭავაძის მოთხრობას „სარჩობელაზედ“. მწერალს სიუჟეტების სახით ჰყავს შემოყვანილი მოქმედი გმირები და მათ ხასიათებს ყველა დეტალის გათვალისწინებით თუმცა შეფარვით გვიღწერს. მაგრამ შეუძლებელია, ვერ გაიგო ავტორის სათქმელი და ვერ გაითავისო პერსონაჟების ხასიათები, ემოციები და გრძნობები.

ნაწარმოებში „სარჩობელაზედ“ მთავარ თემას წარმოადგენს სოციალური უსამართლობისა და საზოგადოებრივი ბოროტების მხილება, ასევე იმ პერიოდისათვის არსებული აქტუალური რეფორმების განხორციელების მოწოდება, რაც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ბრძოლაში ვლინდება. ეს მოთხრობა იყო ხალხისთვის ჰუმანური იდეების შთაგონების მცდელობა და ამ იდეების

დამკვიდრებისთვის ბრძოლა. „სარჩობელაზედ“ კარგად ასახავს ილიას ქრისტიანული ჰუმანიზმის მოტივებს, აი მაგალიათად, „არა კაც კლა“, რომელიც უშუალოდ ათი მცნებიდანაა. როგორც იოანე ღვთისმეტველის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური დეკანოზი გიორგი სხირტლაძე წერს ჟურნალ „კარიბჭეში“:

„უფლის მეექვსე მცნება „არა კაც კლა“ კრძალავს კაცის კვლას, ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. სიცოცხლე უძვირფასესი ნიჭია, რომელიც ღმერთმა ადამიანს უწყალობა, ამიტომ მასზედ ძალადობა, მისი წართმევა უდიდეს ცოდვად ითვლება. რა სახითაც არ უნდა იყოს კაცის კვლა ჩადენილი, იგი ღვთის ნების საწინააღმდეგო საქმეა. სიძულვილიც კაცის კვლის ერთ-ერთი სახეა, იგი პოტენციური, მაგრამ განუხორციელებელი შესაძლებლობაა კაცის კვლისა („კარიბჭე“ 27.01.2006).

ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ წაკითხვის შემდეგ ადამიანს გიყალიბდება ახალი ფასეულობები და განსაკუთრებული დამოკიდებულება მორალურ-ზნეობრივი ღირებულებებისადმი. ითავისებ, თუ რამდენად შეუძლია ერთ ადამიანს მეორეს ცხოვრება გაუბედნიეროს ან ხელყოს მისი სიცოცხლე. გრძნობ თუ უფალს რამხელა მადლი მოუნიჭებია ადამიანისთვის სიცოცხლის სახით. შენ კი მოკვდავო, ვალდებული ხარ არა მარტო საკუთარ, არამედ სხვის სიცოცხლესაც მოუფრთხილდე, რადგან ის ღვთის საჩუქარია. როცა პიროვნება ბრბოს წინააღმდეგ აღმოჩნდება მისთვის ქვეყანა უსამართლო ხდება მთელი სამყარო კი მტერი.

სწორედ ასეთია ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ გმირების ტრაგიკული ისტორია. ორი ძმა, რომელთა მძიმე ბედის ტრიალი მძიმედ ჯერ კიდევ პატარაობიდან დაიწყო, ისინი მშობლების გარეშე რჩებიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ ორი ფაქტი, რომელიც ძმებს ადრეული ასაკიდანვე სამყაროს უსამართლობის მძიმე დაღს ასვამს - სიკვდილის გარდაუვალობა და დედის გათხოვება. ძმებს მამა გარდაეცვლებათ, დედა კი უთხოვდებათ. მამინაცვალმა ძმებს მამობა ვერ გაუწია, თუმცა დასანანი ის არის, რომ ვერც ადამიანობა გაუწია და სახლიდან გაყარა ისინი. ძმებს შემდეგ

სასწავლებელში მიაბარებენ, სადაც ისევ სიმკაცრე და უსამართლობა ხვდებათ მასპინძლად.

სამყაროს უსამართლობა რომ სულს უყროლებდა ძმებს, გადარჩენილი ძმის წერილში ჩანს, სადაც წერს, როგორ შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ეხეტებოდნენ სოფლის ორღობეებში უპატრონოდ. სად იყო ამ დროს მშობელი დედა? არსად, რადგან ისიც ბრბოს ნაწილი იყო. ის უბრალოდ ამ ბიჭების მომვლინებელი სხეული იყო ამ ქვეყანაზე, ნამდვილი დედა კი არსად ჩანდა. ასევე წერილში წერს, ყველანი, ვისაც კი სურვილი ჰქონდა, ცუდად ექცეოდნენ, უმიზეზოდ სჯიდნენ, აბუჩად იგდებენენ. მართალია უცხო ადამიანებს ეცოდებოდათ საწყალი, დაობლებული ძმები, მაგრამ გამოსავალი არ ჩანდა.

ძმები პატარაობიდანვე აღმოჩდნენ ბრბოს პირისპირ დაუცველნი. ბრბოს, რომელსაც მათი დედაც ჩაუყლაპავს და ყოველგვარი სიკეთეც. ძმებს პატარაობიდანვე ქვეყანამ პირუკუარიდა და არ შეიკედლა. ან რა ჰქონდათ პატარებს სხვისი შესაკედლებელი, მათ მამისაგან ხომ დედულ-მამულიც ჰქონდათ, დედაც ჰყავდათ, მაგრამ ორთავე მამინაცვალმა გაანადგურა. უსამართლობა ხომ არავის არ ინდობს ასაკის, სქესის, ერის, ბერის, სოფლელისა თუ ქალაქელის მიუხედავად. ყველას ერთად მოერევა ხოლმე და ისევე გაანადგურებს, როგორც „სარჩობელაზედ“ გმირებს.

მეტად მტკივნეული კითხვა აწუხებდა სიძლვილისა და უსამართლობისთვის განწირულ ძმას და საზოგადოების მიერ უარყოფილი კითხულობდა, შესტკიოდა ჩვენზე გული ვინმეს კი? გაუცხოებულებმა და მთელს ქვეყანაზე გულამღვრეულებმა ქალაქს მიაშურეს.. აქ კი ვაცნობიერებ თუ როგორ აბოროტებს პიროვნებას საზოგადოება. ძმების სულში ბოროტება ისე მომწიფდა, რომ მამინაცვალის მკვლელებად იქცნენ, სწორედ, ამიტომ ჩამოახრჩვეს უმცროსი ძმა. თუმცა მისი ჩამოხრჩობა საზოგადოებისათვის პური და სანახაობა აღმოჩნდა. ხალხს გრძნობა ჰქონდა დაკარგული, ეს ხომ ის პერიოდია, როდესაც სარჩობელას მსხვერპლი ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გამხდარიყო. თუმცა ხანდახან ადამიანს სხვისი ჭირი

ღობეს ჩხირად ეჩვენება და ურჩევნია სხვისი გასაჭირი მხოლოდ თვალებს დაანახოს, გულს კი დაუმალოს, რადგან თუ გულსაც დაანახებს ისევე მიამიტურად მოიქცევა როგორც პეტრე მოექცა ძმებს.

სოფლიდან წამოსული ძმები ლოჭინის ხევის პირას სწორედ რომ პეტრეს მიადგნენ მშიერ-მწყურვალნი, რომელსაც ურმები ჰქონდა გამოშვებული. მაშინ პეტრეს გულკეთილობამ კინაღამ მადლის შუქი ჩააწვდინა ძმების ბნელ გულში, თუმცა მათ სულში ისე ღრმად გაედგა ფესვები ბოროტებას, რომ პეტრეც გაქურდეს. ქალაქში ჩასულებს კი დღე არ გაუცდენიათ, ვინმე არ გაეძარცვათ, რითაც როგორც გადარჩენილი ძმა ამბობს, „ჩვენი დანაკარგი, ვინც კი შეგვხვდა ვაძღვევინეთ. ამით თითქოსდა მალამოს ადებდნენ უსამართლობით და სიძულვილით გულზე გაჩენილ წყლულებს, თუმცა გულში ბობოქარ მღელვარებას შურისძიებისას მაინც ვერ იცხორბდნენ და ასე შემოაკვდათ მამინაცვალი.

მამინაცვლის მკვლელობა საბედისწერო აღმოჩნდა ერთ-ერთი ძმისთვის, პოლიციამ დაიჭირა და მისი ბოლო სარჩობელა აღმოჩნდა. შემდეგ ვკითხულობთ გადარჩენილი ძმის სიტყვებს: „დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთადერთი ძმა, ერთადერთი კეთილისმყოფელი კატის კნუტივით ჩამომიხრჩეს“. ადამიანის სიკვდილით დასჯა ბრბოდ შეკრებილი საზოგადოებისათვის სეირი და სანახაობა აღმოჩნდა. ერთადერთი ძმა იყო, რომელიც უდიდესი ტკივილისაგან იწვოდა... ამ გულგრილობამ კიდევ უფრო გაამძაფრა მასში შურისძიების გრძნობა, შეიძულა ადამიანი და ზოგადად სიცოცხლე და ამიტომაც იმუქრებოდა სამაგიეროს გადახდით.

და ვფიქრობ, რატომ ჰქვია ნაწარმოებს „სარჩობელაზედ“? მხოლოდ იმიტომ, რომ ძმა ჩამოახრჩვეს ადამიანისგამოგონილ სპეციალურ დანადგარზე თუ თვითონ სამყაროს უსამართლობაა ყველაზე დიდი სარჩობელა, რომელიც ყელში კი არა, სულში გიჭერს, გულში გიჭერს. როგორც ჩამომხრჩვალი ძმა გავიდა ამა სოფლიდან, ისე გადარჩენილი, თუმცა უსამართლობისგან სარჩობელამობმული ძმა მოწყდა

სამუდამოდ ქვეყანას, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ ძაფზეღა დაკიდებული.

ასეთი ბედისწერის მხოლოდ ილია ჭავჭავაძის მოთხრობის პერსონაჟი ძმები როდი არიან, მიხეილ ჯავახიშვილისა და გიორგი ლეონიძის მოთხრობებიც მრავლად არის საერთო ბედუკუღმართობა გმირებისა. ბრბოს უსამართლობას შეეწირა ჩანჩურა, მარიტა, მგლის ლეკები, სოფიო, გადარჩენილი და ჩამომხჩვალი ძმა, ყველა თითქოს ერთ ნაპირას დარჩენილა მრავალნი კი იქით. თუმცა, განკითხვის დღე წარმოაჩენს ვინ არის მართალი და ვინ დამნაშავე. ღმერთი ყოვლისმცოდნეა, ვიდრე მათ განვლილ გზას სასწორზე დადებს, ჯერ გულში ჩაჰხედავს ადამიანებს.

საინტერესოა იმ ნაპირას, სადაც მრავალნი არიან, განა ყველა ერთნაირადაა ამ გმირების მსხვერპლად გაწირვაში დამნაშავე? ამ მრავალში ხომ პეტრეს ნაირებიც არიან, რომლებიც პეტრესავით მეამიტური ხასიათის გამო, ბრბოს დანაშაულის უნებლიე თანამონაწილენი ხდებიან. პეტრეს ხომ სარჩობელაზე კაცის მაგიერ ჩამოკიდებული ტომარა ეგონა, ფეხებს რომ იქნევდა. პეტრე რომ გულმართალი, უნებლიე თანამონაწილე იყო. მისი სიტყვებიც საკმარისია ამის დასაჯერებლად. ბოლომდე დადგმული სცენა ეგონა დამნაშავის სიკვდილით დასჯისა, ვერ წარმოედგინა რეალურად ისე როგორ უნდა ჩამოეხრჩოთ ადამიანი ისე, რომ მის მაყურებელ უამრავ ადამიანთაგან არავის შეცოდებოდა, ერთი ცრემლიც არ ჩამოეგდო.

პეტრეს განსჯა მართლაც დიდად რთული ამბავია, სოფლელმა გულმართალმა კაცმა მართლაც ვერ დააჯერა გულს ეს უღვთო საქმე, მაგრამ როგორ იქცევა ამ დროს ქალაქის მოედანზე ბრბოდ ქცეული ხალხი?

მოედანზე ხალხი ირეოდა, როგორც ყოველთვის ჟრიამული და ყაყანი გაქონდათ. პეტრემ სწორედ აქ გაიგონა მახათაზე ადამიანის სიკვდილით დასჯის ამბავი. მას არასდროს ენახა მსგავსი რამ და ცნობისმოყვარეობამ ისიც იქ წაიყვანა. სწორედ აქედან წყებს ბრბო შეთვისებას. მახათაზედ ბუზსავით ხალხი ირეოდა. ერთს განაპირებულს ადგილას სარჩობელა გაემართად. ამის შემხედვარე პეტრე ბევრს

რაღაცეებს მოსთქვამდა გულში. სრულიად დარწმულებული, რომ აქ თვალთმაქცობა რამ იყო, საბუთად კი დედაკაცების სიმრავლე მოჰყავდა. მალე ფარაჯაში გახვეული ოცი-ოცდაერთი წლის ახალგაზრდა მოიყვანეს.

ბიჭი სარჩობელას ქვეშ დააყენეს, ერთ მხარეს მღვდელი მიუდგა, მეორე მხარეს ვინმე ჩინოვნიკი და უკან კიდევ წითელპერანგიანი ჯალათი.

ბიჭს თეთრი პერანი გადააცვეს თავიდან ფეხებამდე. წითელ პერანგა ჯალათმა გაასწორა სარჩობელაზე ყულფი, შეკრებილ ბრბოს ხმა ჩაუწყდა, ხალხს თითქოს სულიც შეეხუთა და გულიც გაუჩერდა. მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, ჯალათმა თავისი მოვალეობა შეასრულა, თოკის ყულფში თავგაყოფილს კიბის წართმევით ნიადაგი გამოაცალა და სიცოცხლე დაასრულა. სანახაობის მაყურებელმა ბრბომ ამოიქშინა მხოლოდ...

თითქოსდა ბრბო უნდა დაფიქრებულიყო მომხდარზე და სულ მცირე, სინანული მაინც უნდა გამოეხატა, მაგრამ მდუმარებას მხიარული შეძახილები და გადალაპარაკება მოჰყვა მხოლოდ. ბრბოს წევრები სანახაობით დაკმაყოფილებულნი ლაზღანდარაობით გაემართნენ სახლებისაკენ.

სამარცხვინო, არაადამიანურია იქ მყოფთა საქციელი. „კაცი იხრჩობა, ღვთის კერძო შენსავით შვილი ერთის მამა-ღმერთისა, შენ კი გულხელდაკრეფილი დაჰყურებ, როცა იმის მორჩენა შეგიძლიან, სასახელოა? მერე ღმერთს რა პასუხს მისცემთ, ან შენ და ან დედაშენი, ღმერთს რას ეტყვით? არ გეტყვით: რად მოიკალით გული რომელიც შენთვის მოძმის საშველად მომიმადლებია? როცა, ჩემო ძმაო ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე ღმერთისთვის მოგირიდებია პირი“ (ჭავჭავაძე გამომცემლობა პალიტრა L 2012 გვ: 204) - წერს ილია ჭავჭავაძე „გლახის ნაამბობში“ და აქვე იხსენებს იესოს სიტყვებს, განკითხვის დღეს გეტყვითო: მწყურვალი ვიყავი არ მასვით და არ დამაპურეთო; უტანსაცმლოდ დარჩენილი არ შემმოსეთო; დასნეულებულს არ დამიამეთ წყლულებიო; როდესაც მკითხავენ: უფალო! სად გნახეთ რომ არ გიშველეთო? მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენ რომ არ

განმიკითხეთ - მე ვიყავიო (ჭავჭავაძე გამომცემლობა პალიტრა L 2012 გვ: 204) მაგრამ კაცის გულს როცა ეშმაკი მოერევა, ავიწყდება ღვთისკენ სავალი გზა და სწორედ ისე უსულგულოდ ხდება დანაშაულის პირდაპირი თუ ირიბი თანამონაწილე, როგორც მოედანზე შეკრებილი დედაკაცთა და მამაკაცთა ბრბო.

ადამიანი მოკვლა უძველეს ცოდვათაგანია. კაცობრიობის ისტორიაში საკუთარი პირველად ადამიანის სისხლი კაენმა ცოდვად დაიდო. შურით დაბრმავებულმა აბელის სისხლი დაღვარა. პირველ შემთხვევას მრავალი მოჰყა და დედამიწა უფრო და უფრო მძიმდება ძმათა მიერ მოკლულ ძმათა უბედურებით. ესეც არ იკმარა ეშმაკს ადევნებულმა ადამიანმა, თუ შეიძლება ადამიანი ვუწოდოთ მას და უფალიც კი არ დაინდო - სულისშემძვრელი მკვლელობა ჯვარცმა მოუვლინა კაცად მოსულ ღმერთს.

როგორც ხედავთ, ადამიანის და ხალხის ბრბოდ გადაქცევას უძველესი ისტორია აქვს. სწორედ ამიტომაა, რომ განსაკუთრებული მწერლები გვერდს არ უვლიან ამ ზოგადსაკაცობრიო თემას და ცდილობენ, ადამიანის სულში არსებული ეს მანკიერი და ამაზრზენი, ცოდვილი მხარე ამხილონ.

ილია ჭავჭავაძე მოთხრობის დასასრულს, ბოლო განაჩენის გამოტანის უფლებამოსილებას საზოგადოების წარმომადგენლებს უტოვებს და მკითხველს მრავალმნიშველოვანი კითხვით ტოვებს: ,,მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს?“ (ჭავჭავაძე გამომცემლობა პალიტრა L 2012 გვ: 262)

თავი III. მიხეილ ჯავახიშვილი ბრბოს სამართლიანობის მსაჯული

უდიდესმა მწერალმა და ჭეშმარიტმა მამულიშვილმა მიხეილ ჯავახიშვილმა უაღრესად აქტუალური, მნიშვნელოვანი და ცხოვრებისეული პრობლემები დააყენა თავის თხზულებებში. გვიჩვენა ამ პრობლემათა გადაწყვეტის გზებიც და განსაკუთრებული მოქალაქეობრივი გაბედულებით შექმნა XX-ის საქართველოს ცხოვრების მხატვრული მატიანე.

ალბათ გაინტერესებთ როგორი იყო საქართველო და ქართველი ამ დროს? როგორც მიხეილ ჯავახიშვილი ამბობს: „დამცირებული და განადგურებული საქართველო დაემსგავსა ქეციანს, დაღრეჯილს, დაშინებულ და კბილებალესილ მგელს. ქართველებს გულში ჩირქი დაუგუბდათ და სულში ხანძარი მოედოთ“ (ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან 1924-1993წწ) ვკითხულობთ რა მიხეილ ჯავახიშვილის ამ შეფასებას და გვიჩნდება შეგრძნება, თითქოს მთელი საქართველო ბრბოს დამსგავსებია, მწერალი კი დამარტოსულებული ბრბოს ფსიქოლოგიის წინააღმდეგ დარჩენილა.

მიხეილ ჯავახიშვილი მარტოსული, სხვებისაგან უიმედოდ დარჩენილი რომ იყო, ამას მისივე სიტყვებიც ამტკიცებს. სიტყვები, რომლებსაც ათი წლის ქალიშვილს ალბომში უწერს და საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებს. დღეს კი ეს სიტყვები ჩვენი დროის „ათი მცნების“ სახელითაა ცნობილი (ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან 1924) „მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე, ისე იცხოვრე ვითომ ამ ქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი“ (ჯავახიშვილი II ნაწილი გვ:3).

არც მოვალე და არც მშველელიო! ძლიერ დასაფიქრებელია ეს სიტყვები, თვითონ ხომ მუდმივ მოვალედ თვლიდა თავს მამულისა და თანამემამულეთა წინაშე. აქვე უნდა გავაცნობიეროთ თუ რაოდენ ძლიერ პიროვნებასთან და მწერალთან გვაქვს საქმე. ამის დასტურია არაერთი მკვლევარის შეფასება, რომლებიც ერთხმად თანხმდებიან, რომ მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებამისი გმირების მსგავსად, მოწამებრივი იყო. ამაზე ტარიელ კვანჭილაშვილი ყველაზე ნათლად გვესაუბრება, რადგან მწერლის ცხოვრების შეფასებას სათაურიდანვე იწყებს „წამებული მიხეილ ჯავახიშვილი“.

და რატომ წამებული?

მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები ხომ მეფის რუსეთისა და საბჭოთა ხელისუფლების ბობოქრობის პერიოდებია, სრული განუკითხაობა! უფრო სწორად, ვცდები, განუკითხაობა კი არა სრული განკითხვა ჯერ მეფის რუსეთის მოხელეების მხრიდან, შემდეგ კი უსასტიკესი, დაუნდობელი საბჭოთა ბრბოსა და მათი წინამძღოლების მხრიდან. აი თუნდაც ერთ-ერთი პირსისხლიანი პიროვნება ლავრენტი ბერია, სტალინის ჯალათთაგანი, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის დაუძინებელი მტერი გახდა მას შემდეგ, რაც გაიგო მწერლის შეფასება: „საქართველოში კაცი ვერ ნახეთ, რომ ჩეკისტი არ აგერჩიათ ქვეყნის ხელმძღვანელად!“

ცხადია, საბჭოეთი და ბერია არა მარტო ჯავახიშვილს, არამედ სხვა ბევრის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის თვითმყოფადობის კეთილმოსურნეს მტერი იყო. აღსანიშნავია მიხეილ ჯავახიშვილის მჭიდრო კავშირი პაოლო იაშვილის ტრაგედიასთან, რომელიც ქართველ მწერალთაგან პირველი იყო, ვინც საბჭოეთის სისასტიკემ შეიწირა. ამ საშინელებას საბჭოთა ხელისუფლების მონა-მორჩილნი თანდათან ამზადდებნენ. არ ჯერდებოდნენ სასიკვდილო განაჩენის მომატანი შემოქმედებითი პაექრობებს, რომელთაც ურჩ, საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე მწერლებსა და პოეტებს უმართავდნენ. ამ პრინციპით, თავს ესხმოდნენ პაოლო იაშვილს, იდეოლოგიის მავნებლად რაცხავდნენ, სასტიკი და ამავ დროულად

უსამართლო კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ და ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონდა, იმათად სასტიკად უსწორდებოდნენ.

ამ პრინციპით იმსჯელა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ცისფერყანწელი პაოლო იაშვილის „ჯაშუშურ“, „გამცემლურ“ საქმიანობაზე. ბუნებრივია მის შემადგენლობაში იყვნენ დიდი ხნის წინ შეძენილი მეგობრებიც. ერთიანად დაგმეს საბჭოეთისა და უბრალო ხალხის მოღალატე არჩეული გზის გამო. პოეტმა იგრძნო, რომ გარდაუვალი იყო იმისი შეპყრობა და თავისუფლების აღკვეთას, რომელსაც დიდი ალბათობით სიკვდილით დასჯა მოჰყვებოდა. ამიტომ მეგობრებისა და თანამოაზრეებისაგან განწირულმა დაპატიმრებამდე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, სწორედ იმ ოთახის გვერდით, სადაც მისი სასიკვდილო განაჩენი მზადდებოდა. მწერალთა სასახლეში მომხდარმა საშინელებამ სულითხორცამდე შესძრა მიხეილ ჯავახიშვილი, რომელსაც უშიშრად წარმოუთქვამს ფაქტობრივად მისი ასევე სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი სიტყვები „ნამდვილი ვაჟკაცი იყო, ყველას გვაჯობაო“ (https://seegull-jonathan.blogspot.com/2011/01/blog-post_5309.html).

დიქტატორულმა და პირსისხლიანმა მმართველობამ რაკიღა მასზე ვერ გაიმარჯვა და მისი სიკვდილით დასჯით ნეტარებას ვერ ეზიარა, რამდენად წარმოუდგენლადაც არ უნდა მოგვეჩვენოს დღეს, გარდაცვლილს სასამართლო პროცესი მოუწყო. როგორც საქართველოს საბჭოთა „მამების“ 23 ივლისით დათარიღებული სხდომის ჩანაწერიდან ვიგებთ: „კონსტანტირება გაუკეთდეს, რომ პაოლო იაშვილის, გამოაშკარავებული ჯაშუშის და ხალხის მტერის, თვითმკვლელობა არის პროვოკაციული ქმედება პარტიისა და საბჭოთა წყობის წინააღმდეგ და ამის გამო იგი დასაფლავდეს, როგორც ხალხის მტერი“ https://www.ttimes.ge/archives/107608

ცხადია, დღის წესრიგში ჩადგა თვითგადარჩენის ადამიანური მოთხოვნილება. შესაბამისად მწერალთა კავშირის წევრთა უმეტესობამ, რომელთაგან ბევრი პაოლოს ემეგობრებოდა კიდეც, დაგმო პოეტის თვითმკვლელობა. მათგან

განსხვავებით ასე მოიქცეულა მიხეილ ჯავახიშვილი. იგი არა მარტო არ გმობს თანამოკალმის თვითმკვლელობას, არამედ მას ვაჟკაცს უწოდებს ამ საქციელისთვის.

პაოლო იაშვილის გმირული შეფასება მიხეილ ჯავახიშვილს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. პოეტის თვითმკვლელობიდან სულ რაღაც ოთხი დღე იყო და საქართველოს კავშირის პრეზიდიუმი მორიგი უსამართლო გადაწყვეტილებით შედის ისტორიაში. მწერალთა კავშირიდან, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე გარიცხა, ხალხის მტრად შერაცხა და მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვა. ყველანი აიძულეს, თავისუფალნიც და პატიმარნიც, მიხეილ ჯავახიშვილი დამნაშავედ შეერაცხათ. სიმართლის მთქმელი ერთადერთი ადამიანი, გერონტი ქიქოძე აღმოჩნდა, რომელმაც წინააღმდეგობის ნიშნად მიატოვა მწერალთა კავშირის სხდომა.

მოთხოვნა უშედეგოდ არ დარჩენილა და მიხეილ ჯავახიშვილი 1937 წელს, თოთხმეტ აგვისტოს დაატუსაღეს. უშალოდ ლავრენტი ბერია ხელმძღანელობდა მის წამებას. წამების საშინელმა მეთოდებმა გაამართლა და უსპეტაკესმა ადამიანმა ე.წ. „აღიარების“ დოკუმენტზე ხელი მოაწერა. ჯალათთა სამართალს წინ რა აღუდგებოდა და სექტემბრის ბოლოს სასჯელის უკიდურესი ზომა სისრულეში მოიყვანეს.

ასე ჯალათურად სიცოცხლეს გამოასალმეს სამშობლოსა და სიმართლეზე უსაზღვროდ შეყვარებული მწერალი. ის ხომ საბჭოთა ტრიბუნიდან წამოსულ არც ერთ მითითებას არ ასრულებდა. როგორც ლავრენტი ბერია კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე აცხადებდა: „საბჭოთა მწერალი, პირველ რიგში, ის ადამიანი უნდა იყოს, რომელიც ყველაფერს საბჭოთა ხელისუფლებას, სოციალისტურ სამშობლოს ლენინისა და სტალინის პარტიას მიუძღვნის“ (http://intermedia.ge) ალბათ, მოგეხსენებათ თუ რა მძიმე ფორმებში ვლინდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება თავისუფლად მიაზროვნე ადამიანების მიმართ. ეს იყო დაპატიმრება, გადასახლება, წამება და დახვრეტა.

და მაინც, როგორ შეძლო მიხეილ ჯავახიშვილმა თვითმყოფადობის შენარჩუნება და საბჭოთა მანკიერებების მხილება? როგორ არ დაემონა საბჭოეთს?

მიხეილ ჯავახიშვილის მთავარ მამოძრავებელ ძალას ადამიანის, ადამიანობის, ქართველისა და საქართველოს სიყვარული წარმოადგენდა, თორემ ჩვეულებრივ მოკვდავს, რომელსაც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა ადარდებს, ძლიერ გაუჭირდებოდა საკუთარი ანტისაბჭოური იდეების სისხლის საფასურად დაცვა, რადგან საბჭოთა წნეხი სწორედ რომ სისხლს მოითხოვდა თუ მას განუდგებოდი.

არც არავინ დაუსმენია, არც არავის საბჭოური განკითხვის მიზეზი გამხდარა წამებული მიხეილ ჯავახიშვილი, რითაც შეძლო განდგომა საბჭოთა ბრბოსგან, არ იცხოვრა იმათი ფსიქოლოგიით, რადგან ესოდენ ჩია ტანის კაცი, ფსიქოლოგიურად ბუმბერაზიდა გოლიათი იყო. მწერალს ცილი დასწამეს და მრავალი დანაშაული მიაწერეს მაგრა, იგი ამის გამო დეპრესიაში არ ჩავარდნილა. მუდამ იმეორებდა: „ეგენი ვერ მომერევიან, მსხვილი ძვალი მაქვს და ყელზე დავადგები“ (http://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=67&id=7337).

საბჭოთა განაჩენის გამოტანის შემდეგ კი მიხეილ ჯავახიშვილი კიდევ ერთხელ გვესახება როგორც ძლიერი, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული, საბჭოეთისაგან დაუმარცხებელი პიროვნება, რაც ნათლად ჩანს მის სიტყვებში: „ქართველი ხალისა და ჩვენი სამშობლოს წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვნის, მაგრამ თუ თქვენთვის ზვარაკია საჭირო, მე მზად ვარ საქართველოს თავი შევწირო. თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასოდეს ვერ მოსპობთ, რაც მე დავტოვე. საქართველოს მიწა-წყალზე მე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს თქვენ ვერასდროს აღმოფხვრით. მე გამანადგურებთ, იმას კი ვერ მოსპობთ“. (https://seegull-jonathan.blogspot.com/2011/01/blog-post_5309.html).

ვფიქრობ, აღარ საჭიროებს დაწვრილებით ახსნა-განმარტებებს იმის ჩვენება, თუ როგორი შემართული და მებრძოლი სულით განმსჭვალული პიროვნება იყო ჯავახიშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. მას ხომ „პატარაობიდანვე გულადი და უშიშარი ბუნებისას მტკიცე ხასიათი და მაგარი ნებისყოფა ჰქონდა. ჯიუტიც იყო, ამასთან თავმდაბალი, ადამიანური და კეთილი. სიყალბეს ვერ იტანდა. ტყუილი

სასტიკად ეჯავრებოდა“ (ქეთევან ჯავახიშვილი ჟ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, N3 1981)

რაც შეეხება მის ნაწარმოებებს, ბრბორ ფსიქოლოგიის თვალსაზრისით აღსანიშნავია „ეშმაკის ქვა“ და „ჩანჩურა“. ამ ორ მოთხრობაში ვხვდებით ორ სრულიად განსხვავებულ ბრბოს სახეს. ერთი მხრივ, სოფლის ბრბო, მეორე მხრივ, კი ქალაქელთა ბაზრის ბრბო. განსხვავებაა მათი მსხვერპლთა სახეთა შორისაც. „ჩანჩურაში“ უდანაშაულო შეზღუდული შესაძლებლობის პირია, ეშმაკის ქვაში კი დამნაშავე, ქურდი, მოძალადე და მკვლელი დათა.

მიხეილ ჯავახიშვილმა მკითხველს თავის შემოქმედებით ძალიან ბევრი მოგვცა და თითოეული ჩვენგანი ბევრ რამეზე დაგვაფიქრა. აი, თუნდაც ვკითხულობთ მის „ეშმაკის ქვას“ და ვეცნობით ბრბოს ფსიქოლოგიას, ვკითხულობთ, თუ როგორ, ერთ წამში შეიძლება მოხდეს ხალხის ბრბოდ გადაქცევა. შემდეგ კი ვფიქრობთ, რა აქცევს ხალხს ბრბოდ? როდის ხდება ეს? რა არის ამ ყველაფრის ამოსავალი წერტილი?

ბრბოს ფსიქოლოგიასა და მისი ჩამოყალიბების გარემოებათა შესასწავლათ მნიშნელოვანია, გავითვალისწინოთ ერთ-ერთი სახარებისეული ამბავი, სადაც აღწერილია მარიამ მაგდალინელის ისტორია. ქალი ფარისევლებს მრუშობაში დადანაშაულებული და შეპყრობილი ჰყავდათ. ცოდვილი ადამიანი ბუნებას როგორც შეეფერებოდა, ისე ცდილობდნენ მის დასჯას, ფაქტობრივად იგი ჩასაქოლად იყო განწირული. ფარისეულებმა უწყოდნენ, თუ ძე ღვთისა მოსეს კანონს მიანიჭებდა უპირატესობას, მღვდელმთავრებისათვის მხარი უნდა დაეჭირა მარიამის სიკვდილით დასჯაზე, რაც ფაქტობრივად სამოქალაქო ხელისუფლების წინააღმდეგობის ტოლფასი იყო. ხოლო შეპყრობილს თუ დაინდობდა, ამით მოსეს კანონთან მოდიოდა წინააღმდეგობაში. იესო ქრისტეს სიტყვები „ვინ უცოდველ არს, თქუენგანი, პირველად მან დაუტევენ, ქვაი მაგას ზედა“ საკმარისი აღმოჩნდა, იმისათვის, რომ იქ მყოფთ, ყველას თავის ცოდვები გახსენებოდა და სინდისის ქენჯნას შეეწუხებინა.

ყველაფერს ერთად ვაანალიზებთ და ვხვდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, გააცნობიერო ამ ცოდვიან გზაზე ადამიანის არსი და რაობა, წარმომავლობა და თანამედროვეობა. აუცილებელია, გააცნობიერო თუ რამდენად გევალება დარჩე ადამიანად, შენი ცოდვებიც იკმარო და სხვისი ცოდვების განკითხვას არ მიჰყო ხელი, თორემ უარეს ცოდვაში გადავარდები და ბრბოს შეერწყმები.

სწორედ ამაზეა საუბარი მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობაში „ეშმაკის ქვაში“. როგორც მწერალი იხსენებს, ეს ნაწარმოები ცნობილი ფსიქოლოგის გუსტავ ლე ბონის წიგნმა „ბრბოს ფსიქოლოგიამ“ დააწერინა. ზოგადად ჯავახიშვილი საკუთარ თავს ბედნიერ მწერალს უწოდებდა, რადგან როგორც თვითონ ამბობდა: „ძალიან ბევრი მივლია, მინახია, განმიცდია და გამიგონია“ (ჯავახიშვილი „საქართველოს მაცნე“ 2010 გვ:5)

ბევრის მნახველი მიხეილ ჯავახიშვილი მოთხრობით „ეშმაკის ქვა“ სათაურიდანვე აინტერესებს და აფიქრებს მკითხველს. ავტორის თქმით, „ყველაზე უფრო ძნელი მოთხრობის დაწყებაა, ამიტომ მე დიდხანს ვეძებ ხოლმე დასაწყისს. რუსები ამბობენ, მოზვერს ერთბაშად სტაცე ხელი რებშიო. მეც კარგა ხანს ვუტრიალებ მოზვერს და როცა დროს ვიხელთებ, ვცდილობ უცბად დავწვდე რქებში და აღარ მოვადუნო.

და როგორ იწყება „ეშმაკის ქვა“?

შეკრებილია საზოგადოება, რომელიც საუბრობს ისეთ სხვადასხვა თემაზე, როგორიცაა: ქალთა თანასწორობა, რევოლუცია, ავდარი, მოსავალი. ერთი სიტყვით ჩვეულებრივი ყოფითი პრობლემები არის მათი ინტერესის სფერო. თუმცა შემდეგ მათი საუბარი უფრო მასშტაბური ხდება და საუბარს იწყებენ ბრბოს ფსიქოლოგიაზე, რაზედაც ერთი მოხუცი მემამულე საკუთარ თავგადასავალს ყვება. თუ როგორ ჩადის მასთან სოფელში მისი ქალიშვილი, რომელსაც ახალდამთავრებული ჰქონდა სასწავლებელი. მოხუცი ხაზს უსვამს ქალიშვილის გამორჩეულობას, პიროვნულობას, პატიოსნებას და ზნეობრივ სიწმინდეს. თუმცა რა გახდა სოფიოს ზნეობრივი შერყევის

მიზეზი? მოკლედ სოფელში გამოჩნდნენ ქურდები, რომლებიც იმ სოფლისავე მცხოვრებნი იყვნენ. ერთ-ერთს „მგლის ლეკვს“ ეძახდნენ. ის იყო დათა, შეიძლება ითქვას, უბოროტესი ადამიანი, რომელსაც შინაგანი არასასიამოვნო ბუნება გარეგნულადაც დასტყობოდა. მან აიყოლია თავისი ბიძაშვილი სოლო ქურდობაში. ისინი არავის არ ერიდებოდნენ. ერთ მშვენიერ დღეს სოფიოს მამაც კი გაძარცვეს. თავიანთი უმსგავსო ქცევით მთელი სოფელი შეაწუხეს, თუმცა ვერავინ ვერაფერს უხერხებდა. ერთხელ დაიჭირეს კიდეც დამნაშავეები, თუმცა მთ შეძლეს მოსამართლეების მოქრთამვა და თავის გათავისუფლება.

ერთ დღესაც, ქურდების თავგასულობა საბედისწერო აღმოჩნდა, როგორც მსხვერპლისთვის, ასევე მათთვის. სოფლის ბოლოში ცხოვრობდა ერთი ქვრივი. რომელიც ხალხის თქმით, ქონებას მალავდა. დათა და სოლო ქვრივსაც დაესხნენ თავს. გაძარცვა არ აკმარეს და სასტიკად ხანჯლებით აკუწეს, შემდეგ კი გაიქცნენ. ხალხმა ალღო აიღო და ორივე დაიჭირეს. სწორედ, აქედან იწყება ხალხის ბრბოდ გადაქცევის ისტორია.

ზოგმა ხანჯლებით ავკუწოთო, ზოგი არამზადებს, მგლის ლეკვებს, პირშავებსა და ყაჩაღებს ეძახდა. ყველანი მკვლელებისკენ იწევდნენ და აფურთხებდნენ. ჰაერში ჯოხი, სახრე და კეტი აირია. ერთმა მოხუცმა წამოიძახა: ეს მგელი ცოცხალი რომ გავუშვათ, მთელ სოფელს აიკლებს. გაშმაგებულმა საზოგადოებამ ანუ უკვე ბრბომ ერთხმად იგრიალა:

- მართალია მართალი! აიკლებს! აიკლებს!

ყველა ერთმა სურვილმა გააერთიანა, უნდოდათ იქვე აღესრულებინათ სამართალი და დამნაშავე ცოცხლად ჩაექოლათ. ამ ხმაურში მკაფიოდ ისმოდა ერთადერთი, საბედისწერო სიტყვა - ჩავაქვავოთ! ავტორი აღწერს ბრბო როგორ აბობოქრდა და ელვის სისწრაფით ლამობდა მიზნის მიღწევას. ბრბოდ ქცეული ხალხის მართლმსაჯულება განრისხებული შადრევანივით მოჩქეფდა. გაბრაზება

მრისხანებამ დაჩრდილა და მერე ორივე გრძნობა შეერთდა შურის საძიებლად, აღვირის დამჭერი აღარავინ იყო.

ბრბომ არ დაინანა სისასტიკე დათას მიმართ და ქვის სეტყვა დააწია. მართალია დათა თავზეხელაღებული, გულბოროტი იყო. სწორედ უამრავი უარყოფითი თვისების გამო უწოდეს მგლის ლეკვი. ფიზიკური მხარე და მისთვის დამახასიათებელი პიროვნული თვისებების გამო, მგელს ამსგავსებდნენ. მუდამ პირქუში, თავჩაქინდრული დადიოდა და შუბლქვევიდან ბოროტად აცეცებდა თვალებს, ამასთან ერთად ის უკვე მკვლელიც იყო, მაგრამ განა ჰქონდათ თანასოფლელებს უფლება ასეთი სამართალი მოეწყოთ მის მიმართ? რა თქმა უნდა არც მორალური და არც რელიგიური თვალსაზრისით მათ ამის უფლებას არ აძლევდა.

ისმება კითხვა - როგორ იქცევა ამ დროს მოთხრობის „ეშმაკის ქვის“ მთავარი პერსონაჟი სოფიო?

„ინდივიდი ბრბოში თავისი იდენტობის ნაწილს კარგავს და ფიქრობს, რომ თავადაც იქცა ერთიანი მასის და სხეულის ნაწილი, რომელთან ერთად მოძრაობა და მოქმედება აუცილებელია“ (herba.ge). ასე დაემართა სოფიოსაც, „ეშმაკის ქვის“ მთავარ პერსონაჟს. ბრბოს მოწოდებამ - „ჩავაქვავოთ“, იმასაც დაუბნელა გონება. უსასტიკესი განაჩენი, რომელიც დამნაშავის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა, კეთილშობილ სოფიოშიც კი არ იწვევდა პროტესტს და მის სისრულეში მოყვანაში ხელი არ შეუშლია. პირიქით, თავადაც ბრბოს ნაწილი გახდა. ბრბოს აყოლილმა ქალიშვილმა დედას შვილი არ გადაურჩინა. უფრო მეტიც მის სულს ბრბომ და ეშმაკმა ერთად დარია ხელი, ერთი ქვა თვითონაც ესროლა დამნაშავეს, რაც შემდგომ მისი დაუცხრომელი სინანულის, მძიმე ავადმყოფობის, საბოლოოდ კი სიკვდილის მიზეზი გახდა. ხელიდან გამოეცალა თავიანთი ერთა მშობლებს.

აქედან გამომდინარე ცალსახად ჩნდება კითხვა - თუ არის შესაძლებელი ყველა ჩვენგანი ბრბოს ნაწილად ვიქცეთ?

რა თქმა უნდა შეუძლებელია, თუმცა ცხადია, რომ ბრბოს ზემოქმედებას დიდი ძალა აქვს და შექმნილმა მდგომარეობამ შესაძლოა ყოველ მხრივ დადებითი თვისებებით შემკული, სოფიოს მსგავსი ადამიანი თავისდაუნებურად აქციოს უმართავი, უსასტიკესი ბრბოს წევრად, რომელიც გეუბნება იყავი ისეთი, როგორიც ვართ ჩვენ და გაიძულებს საერთო მიზნისკენ სწრაფვას.

სოფიო გულჩვილი, მგრძნობიარე, ტანსხმული სიკეთე და სათნოება, სოფლის თვალი, თანასოფლელთა ექიმიც, მოსამართლეც, ჭირისუფალიც, დამრიგებელიც და მანუგეშებელიც, თხოვნის მუდამ შემსრულებელი და ქველმოქმედი, სტუმართმოყვარე, უსაზღვროდ კეთილ-შობილი, ხალხსაც ძლიერ უყვარდა და სიამოვნებდა მისი ხილვა. მას ანგელოზიც კი შეარქვეს, ამის მიუხედავად ის მაინც უაღრესად თავმდაბალი იყო.

ბრბოსთან აღმოჩენილი ადამიანი უმეტესწილად, სოფიოსავით უძლური ხდება და ბრბოსგან მიღებულ ბრძანებისა თუ მოწოდების კრიტიკული თვალით განხილვის ნაცვლად, ბრმად აღასრულებს, რასაც გარდაუვალ კატასტროფამდე მივყავართ. ესე იგი, სადაც ბრბოა, იქვე არის ბოროტება, უსამართლობა, ცოდვა, ეშმაკთან წილნაყარობა, სამაგიეროს გადახდის სურვილი, სისასტიკე და ყოველივე დამანგრეველი ადამიანის ღვთით ნასაზრდოები სულისა. საბოლოო ჯამში კი იქმნება მანკიერი წრე, სადაც გამოსავალი არ არის, სინანული კი გვიანია. ბრბოს წევრები ცდილობენ, ერთმანეთს გადააბრალონ დანაშაული, რის შემოქმედიც სინამდვილეში უკლებლივ ყველა იყო.

სანამ მსხვერპლი საბოლოოდ შეეწირებოდა დაუნდობლობას, საზოგადოება თანახმა იყო ყველაფერზე, ოღონდაც კი პური და სანახაობა ეხილათ, ამის გამო თუნდაც ადამიანობა და კაცობა დაეკარგათ. აქ კი უკვე საგრძნობი ხდება ადამიანის პრიმატულობა, ის რომ ელემენტი არ წასულა ცხოველისაგან შორს. სადღაც კუნჭულში მიჩქმალულა და საჭირო დროს ვულკანივით ამოაფრქვევს, შემდეგ კი აღიგვება ყოველივე „პირისაგან მიწისა“.

და როგორც მტაცებელი ცხოველები იქცევიან მსხვერპლის მიმართ, ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა სოფიოც, რომელსაც მალევე ვნახულობთ კოლექტიური დანაშაულის თანამონაწილის ტვირთით მოდრეკილს...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯავახიშვილი ამბობს „ყველაზე უფრო ძნელი მოთხრობის დაწყებაა, თუმცა არც უკანასკნელი წერტილის დასმაა ადვილი. ეს ლურსმანი ყველაზე უფრო ღრმად უნდა იქნეს ჩარჭობილი“ (ჯავახიშვილი „საქართველოს მაცნე“ გვ:8). და მაინც სად დასვა მწერალმა უკანასკნელი წერტილი? რომელი ფრაზა შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე უფრო ღრმად ჩარჭობილ ლურსმნად? ალბათ სოფიოს უკანასკნელი სიტყვები, - ერთი ქვა ვესროლე... მხოლოდ ერთი... ისიც ეშმაკმა მასროლინა...

ჩვენ ხომ ადამიანები ასეთები ვართ, ყველაფერს სხვებს ვაბრალებთ, რაც ტვირთია, იმისი ზიდვა არავის გვინდა. ალბათ, სოფიოც მიუხედავად დიდი სინანულისა, ამსუბუქებდა იმ დანაშაულს, რომელიც ასე მძიმე ტვირთად აწვა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში.

გუსტავ ლე ბონის თვალსაზრისით: „ბრბოს კოლექტიური ემოციის ზეგავლენით ადამიანს ისეთი რამის ჩადენა შეუძლია, რაც მისი პიროვნებისთვის სრულიად უცხოა, ბრბოში მოხვედრილი ადამიანი, რომელსაც საერთო აღგზნება გადაეცემა, კარგავს კრიტიკული განსჯის უნარს და ბრმად ემორჩილება მასის მოქმედებას; ამის მიზეზი კი ის არის, რომ ერთად შეკრებილ ადამიანთა მასას გარკვეულ პირობებში შეუძლია ისეთი ძლიერი კოლექტიური ემოცია ამოაფრქვიოს, რომლის კონტროლიც შეუძლებელია და რომელიც ადამიანებს უჩვეულო მოქმედებისაკენ უბიძგებს. აღგზნებულ მასას თავის გზაზე ყველაფრის წალეკვა შეუძლია“ (https://likunalika.wordpress.com/2013/11/18/%E1%83%91-%E1%83%A0-%E1%83%91-%E1%83%9D/).

სწორედ, რომ კოლექტიურ ემოციას შეეწირა დათა - „მგლის ლეკვი“ და სოფიოს ზნეობრივი სიმართლეც. თუმცა, ალბათ, რამდენადაც სოფიოს სული მონანიედ შეიქმნა, ნიშნავს კიდეც ბრბოსგან განდგომას.

მიხეილ ჯავახიშვილმა როგორც ბევრმა სხვა ქართველმა თუ არაქართველმა თუმცა ჭეშმარიტმა მწერალმა აღწერა და მიუთითა მკითხველს მის გარშემო არსებული რეალობის ყველა კუთხე, ამხილა საბჭოთა საზოგადოება და ის ენა, რომლითაც ურთიერთობდა მაშინდელი საზოგადოება. ეს იყო სიძულვილის ენა, რომელიც ნებისმიერ პიროვნებას აიძულებდა, შეეძულებინა გარშემომყოფნი. და მაინც თუ სხვების სიძულვილი არ შეგეძლო, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავი უნდა შეგძულებოდა იმ უძლურების გამო, რომელიც საბჭოეთის წინაშე ფარხმალს გაყრევინებდა. მიხეილ ჯავახიშვილსაც რამდენადმე შესძულდა საკუთარი თავი იმ უძლურების გამო, რამაც აიძულა და აღიარებაზე ხელი მოაწერინა. აღიარებაზე რომელიც აშკარა გამონაგონი იყო. აბაშიძე, რომელიც ჯავახიშვილის დაკითხვაში მონაწილეობდა, რამდენიმე თანამშრომლის თანდასწრებით კითხვაზე თუ რაში იყო საქმე პასუხობს: „ჩემთვის რომ ასე ეცემათ, მეც ვაღიარებდი, რომ სიამის ჯაშუში ვარო“...(tbiliselebi.ge) ცხადია, ამას ემატებოდა ოჯახის უსაფრთხოებაზე ზრუნვაც, რადგან საბჭოეთი არც მათ დაინდობდა. უძლური აღმოჩნდა მიხეილ ჯავახიშვილიც, თუმცა სულიერად მაინც ვერ დასცეს, რადგან მისი ყოველი ნაწარმოები მოურიდებელი მხილებაა იყო მეფის რუსეთის თუ საბჭოთა მანკიერებების. სიძულვილის ენა მეფის რუსეთისა და საბჭოეთისთვის ერთ-ერთი მთავარი იარაღი იყო. სწორედ ამ ენისა და ტოლერანტობას მოკლებული საზოგადოების მსხვერპლი აღმოჩნდა მიხეილ ჯავახიშვილის გმირი ჩანჩურა.

მიხეილ ჯავახიშვილი რომ ნამდვილი შემოქმედი იყო, ეს მის ნაწარმოებებს სათაურიდანვე ეტყობა. სათაური, რომელიც ერთგვარი გასაღებია კიდეც დიდი ლიტერატურული სახლისა. ტოეფილ გოტიეს თქმით სათაური „მოკლე და პოეტურ

ფორმაში დაასკვნის საერთო იდეას წიგნისას და აღნიშნავს მის ტენდენციებს“. (ჯავახიშვილი IIნაწილი; „საქართველოს მაცნე“ გვ:21)

ცნობილია როგორი სიფრთხილით, პასუხისმგებლობით, მოწიწებითა და სიფაქიზით ეპყრობოდა მიხეილ ჯავახიშვილი თავისი ნაკალმარის დასაწყისს. როგორც უკვე აღვნიშნე, წერის პროცესში ყველაზე რთულ ეტაპად თვლიდა ნაწარმოების დასაწყისს. მოთხრობის სწორედ, ეს ნაწილი არის მისი ორიგინალობის, აქტუალობისა და საჭიროების განმსაზღვრელი. უღიმღამოდ დაწყებული სიუჟეტი ასევე ვითარდება და ძნელია ასე მკითხველის მიზიდვა. ამიტომაც დიდი ყურადღებას უთმობდა მიხეილ ჯავახიშვილი ნაწარმოების დასაწყისის წერას. არ ვიცი, რამდენად დიდხანს ეძებდა ის თავისი ნაწარმოებებისთვის დასაწყისს, თუმცა რაც კი წამიკითხავს, ყველა თავისი დასაწყისითა და დასასრულით საოცარ ემოციებს აღძრავს და მკითხველს საუკუნოდ გრჩება გულსა და გონებაში. აი, მაგალითად ჩანჩურა, მისი პირველი მოთხრობა, როგორც ჯავახიშვილი წერს თავის ნაშრომში „როგორ ვმუშაობ“: „დიდი დახმარებას უწევს ავტორს პროტოტიპი. თუკი ეს უკანასკნელი აქტიური სახით, ცოცხლად ჰყავს წარმოდგენილი, მისი შესაბამისი პერსონაჟიც შესაბამისად ცოცხალი არსებაა, თუმცა წინარე გმირის ყველა თვისების გათვალისწინება საკმარისი არ არის შემოქმედებითი სრლყოფილებისათვის, აუცილებელად ავტორი მუშაობისას მასში ბევრ ცვლილებას შეიტანს და იმგვარ პერსონაჟს შეჰქმნის, რომელიც კიდეცა ჰგავს დედანს და არცა ჰგავს; ასე იქმნება სინტეტური ტიპი. „ჩანჩურა“ ცოცხალი ვნახე მეთქი“. (ჯავახიშვილი; I ნაწილი გვ: 5, 6)

მიხეილ ჯავახიშვილზე დიდი ზეგავლენა მიახდინა ასევე იმ დროიდნელ მხატვრულ ლიტერატურაში გავრცელებულმა „საწყალი კაცის“ სახემ. ამას დაემატა ბაზარში მათხოვრის ნახვა, რომლსაც დიდი ხნის განმავლობაში უთვალთვალებდა. შემდეგ კი, იმავე ღამეს დაიწყო წერა და მეორე დღეს თორმეტ საათზე დაასრულა წერა. ამგვარად შეიქმნა მოთხრობა „ჩანჩურა“ (ჯავახიშვილი; I ნაწილი გვ: 4)

„ჩანჩურა“ სათაურიდანვე შესაბამისად განაწყობს მკითხველის გონსა და გულს ნაწარმოებში აღსაწერი ამბის მიმართ შესაბრალისად. თითქოს თავად სიტყვა ჩანჩურა აღგვიძრავს თანაგრძნობის, სიბრალულის გრძნობას, თუმცა ამ სიტყვის გაგონებაზე თვალწინ წარმოგვიდგება უშნო, უგერგილო, ულაზათოდ ჩაცმული ადამიანი, რომელთანაც სიახლოვე არავის სურს და ყველა მასთან ურთიერთობას თავს არიდებს. ჩანჩურას დასაწყისიც ნამდვილად ოსტატურად აქვს შექმნილი ავტორს. პირველივე წინადადებაში ცხადი ხდება, რომ ჩანჩურა არის უქონელი და პიროვნული ღირსებისაგან დაცლილი არსება. მას ნამდვილი სახელი და გვარიც კი არ აქვს. არც არავის აინტერესებს ის. არავინ არაფრად აგდებს. პოლიციელი პეტროვიც კი, რომელიც ოცდასამი წელიწადია ბაზარში მსახურობს, რომლის მოვალეობაცაა ბაზარში მყოფი საზოგადოების აღწერა, მათი საფუძვლიანად გაცნობა, მოთხრობის პერსონაჟზე არაფერი იცის.

მკითხველისთვის ცხადი ხდება, რომ ჩანჩურა არა მარტო უსახელო და უგვარო, არამედ უენო და მუნჯიც ყოფილა. ეს ფაქტი კი კიდევ უფრო საწყალს ხდის გმირს, მკითხველს კი კიდევ უფრო უმაღლებს მის მიმართ თანაგრძნობისა და შეცოდების გრძნობას. აღსანიშნავია იმ საზოგადოების უვიცობაც, რომელ საზოგადოებაშიც ჩანჩურას უწევდა ყოფნა. განსაკუთრებით გამოირჩევიან პეტროვი და ბოქაული, რომლებმაც ვერაფერი აღმოაჩინეს ჩანჩურას შესახებ პოლიციის დავთრებში, რომლის შევსებაც ცხადია მათ ევალებოდათ. გულმოსულმა ბოქაულმა ბრძანება გასცა - ჩანჩურას დასასჯელად საჭიროდ სცნო მისი ბაზრიდან გაძევება და მშობლიურ მიწაზე გადასახლება. ჩინოვნიკი მალევე მიხვდა რომ უსაფუძვლო და რეალობას მოკლებული გადაწყვეტილება მიიღო. არავინ იცოდა როდის გადმოსახლდა და რომელი ქალაქის თუ სოფლის შვილი იყო ჩანჩურა? ცოლი ჰყავს ან შეურთავს ოდემსე ცოლი კი? იქნებ მემკვიდრეებიც არგუნა ღმერთმა? იქნება რაიმე ვალდებულება შეუსრულებია ქვეყნის წინაშე?

თვითონ ჩანჩურას კი არც მოწმობა გააჩნდა და არც ენა, რომ ეს ყველაფერი ეთქვა სხვებისთვის. თუმცა ერთი კი ცხადია, ყველა ცნობს მას, ჩანჩურას ფიზიკური შეურაცხყოფა, მთელი დღეების განმავლობაში წანწალი ბაზარში, 12 წლის ბიჭთან და ძაღლთან დღიური დაპირიპირება ყასბებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა ,მის გარეშე დღის ჩავლა ვერ წარმოუდგენიათ.

ყველანი უმზერენ ყოველდღიურად მოხრილ ჩანჩურას, ყველასგან რომ გამოირჩევა გარეგნობით. მუშტისხელა, უთმო თავით გამოარჩევენ. არც წვერ-ულვაში აქვს დაღრეჯილ და დანაოჭებულს, მის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას შეეფერება მცირე ზომის, ლობიოს მარცვლისოდენა, ჩამალული თვალები. სახეზე მეტად გადამხმარი კისერი გაშავებია, ყავისფერ, შიშველ ფეხებს თითქოს ფარავს ათასგვარი ქსოვლის ნარჩენებისგან შეკერილი სამოსი - ასე დაწვრილებით აღწერს ჩანჩურას მწერალი, რომლის საცოდაობასაც კიდევ უფრო ამძაფრებს ბებერი ყასბის - დარჩოს 12 წლის ბიჭი - ეშმაკი არტუშა, ვისი წყალობითაც ჩანჩურას ათის მაგივრად რვა თითი აქვს და მისი მეგობარი ძაღლი მურა, რომელიც ისედაც უქონელ ჩანჩურას ყველაფერს აგლეჯს ტანიდან თუ ხელიდან.

საინტერესოა ის ფაქტი რომ ჩანჩურას ყველაზე დიდ მტრებად უცოდველი ბავშვი და არამოაზროვნე პრიმატი არსება, ძაღლი გამოჰყავს ავტორს. თუმცა ეს ხომ მეფის რუსეთის დიქტატორული ხანაა, სადაც სამართლიანობა და პატიოსნება აღგვილა პირისაგან მიწისა. არსებული სინამდვილე კი განურჩევლად ერისა ბერისა, დიდისა თუ პატარისა ყველას მხოლოდ უსამართლობასა და სიძულვილს უნერგავდა გულსა და სულში. აი თუნდაც ისეთი უცოდველი არსება, როგორიც ბავშვია არტუშას სახით, მხოლოდ რისხვას, ძიძღს, ბრაზს, ლანძღვასა და აღშფოთებას იწვევს მკითხველში. თუმცა აქვე აცნობიერებს მკითხველი რომ ჩანჩურასადმი უსამართლობაში ბრალი არტუშასთან და მურასთან ერთად, უგულო ყასბებსაც, უტვინო პეტროვს, ბოქაულს და საერთოდ ჩანჩურას თვალწინ მდგომ ბრბოს

მიუძღვის. ასეთი სისაძაგლის, ასეთი პირობების აღწერა ნათელს ხდის მწერლის მთავარ სათქმელს.

რაც შეეხება ჩანჩურას, მისი ინდივიდუალურობა, ჩამორჩენილობა, დაუცველობა, უძლურება იმაში ვლინდება, რომ იგი იძულებულია ფილტვის ნაჭრები მოიპაროს და ისე იკვებოს. 12 წლის არტუშას დამცირებული და დაბრიყვებული ჰყავს, უფრო მეტი, მურა ძაღლიც კი ვერ შეუშინებია და ვერ დაუცავს მისგან თავი. მისი გონება ვერ აცნობიერებს თუ რატომ სდევნის დღენიადაგ პეტროვი და რა უნდა მისგან? არ იცის რა არის ყიდვა-გაყიდვა, სწორედ ამიტომაა რომ ჰგონია ყასბები ხორცს არიგებენ, მაგრამ ის გაჰკვირვებია მას, ისე პატივისცემით რატომ არ უმასპინძლდებიან და არ აძლევენ ხორცს. მან ხომ არ იცის ფული რა არის? მას ხომ ფული რომელიც „ჟესტის“ ნაჭერი ჰგონია ერთხელ ჰქონდა მხოლოდ, ისიც სიმონა მეპურემ წაართვა და თეთრი პურის ნაჭერი მისცა სამაგიეროდ, რომლის გემოც მას შემდეგ არასდროს უგემნია.

კითხულობ ყოველივე ამას და ხვდები, რომ ეს საზოგადოება არასოდეს წამოაყენებს დაცემულს ფეხზე, რასაც ქრისტიანული რელიგია და ზოგადად მორალი ქადაგებს. უფრო მეტიც, ეს საზოგადოება ყოველთვის მზად იქნება პირველმა ესროლოს ქვა მსხვერპლს. ხვდები, რომ ამ საზოგადოების ქცევა ყოველთვის ამორალური იქნება! მერე ფიქრობ, განა მარტო ჩანჩურას და მისი მსგავსი უსახური ადამიანების მიმართ იქცევა საზოგადოება ასე (თუ რა თქმა უნდა შეიძლება მათ საზოგადოება ვუწოდოთ)? რამდენადმე ალბათ ასეც არის! ყოველთვის ადამიანი გარეგნული სილამაზისკენ ილტვის და სიმახინჯეს გაურბის, თუმცა იმას ვერ აცნობიერებს მისი სული ამ დროს რამდენად ერწყმის სიმახინჯეს და ცოდვის მორევში ვარდება. ალბათ, იკითხავთ რას ჰქვია ცოდვის მორევი? მე კი დარწმუნებით გიპასუხებთ: განა ცოდვის მორევი არ ქვია მურასა და ჩანჩურას ბრძოლის მაყურებელ ბრბოს? განა ამ ბრბოსთვის არ უთქვამს უფალს „გიყვარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდეთ მაწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა

და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობენ თქუენ და გდევნიდნენ თქუენ“ (მათე. 5,44). არც არავის მაწყევარი, მით უმეტეს, არც არავის განმდევნელი არ ყოფილა ჩანჩურა, თუმცა მაინც ვერ შეიყვარეს ის, რადგან მის ირგვლივ მყოფმა საძოგადოებამ ვერ ჰპოვა ის უდიდესი სულიერი ძალა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სიძულვილის სიყვარულად, მაწყევარის დამლოცველად, მტრის მოყვრად გადაქცევა. ვერ აღმოჩნდა საზოგადოება შემწყნარებელი უნებლიე ქურდის მიმართ.

როდესაც ღმერთმა წარღვნას გადარჩენილი ნოეს ოჯახი დალოცა, ინაყოფიერეთ და ამრავლეთ ქვეყანაო, გააფრთხილა, „თქვენს სისხლსაც მოვიკითხავ, ყველა ცოცხალ ქმნილებას მოვკითხავ მას; ადამიანის ხელს, მისი თითოეული ძმის ხელს მოვკითხავ ადამიანის სულს. ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის, ადამიანის მიერვე დაიღვრება მისი სისხლი, რადგან ღვთის ანარეკლად შეიქმნა ადამიანი“ (დაბ. 9.5,6).

განა მურამ დაღვარა ჩანჩურას სისხლი? თუ ყველა იქ მყოფმა ვისაც პურისა და სანახაობის გამო საქმე მიეტოვებინა, თუ არტუშამ, რომელიც ამავე საზოგადოების აღზრდილია და ხან ცხვირზეხელწამოვ-ლებულს, ხან ყელზე კანაფგამობმულს დაარბენინებდა ჩანჩურას და მოწყალებას ითხოვდა მისთვის. ვის უნდა მოსთხოვოს უფალმა ჩანჩურას სისხლი? ცხადია ყველას ერთად უნდა ქენჯნიდეს სინდისი და ეშინოდეს უფლის სამართალის, რადგან მურასა და ჩანჩურას ბრძოლას ფილტვის ნაჭრისთვის ყველანი სიცილ-ხარხარით შესცქეროდა. ხან ჩანჩურას მომხრეები გაჰყვიროდნენ, ხან მურას. შეიქმნა ბრძოლა და თან როგორი, ზოგიერთებმა სანაძლეოც დადეს. ბრძოლა იქამდე მივიდა, რომ ჩანჩურას ცხვირი მურას კბილებში აღმოჩნდა, თუმცა გამშველებელი არსად ჩანდა, ჯერ სანახაობითა და სიცილით გული ვერ დაეჯერებინა შეკრებილ საზოგადოებას, როგორც იქნა მურა გამარჯვებულად აღიარეს და ჩანჩურას ცხვირს ააგლიჯეს. ჩანჩურას დამარცხება ამით არ დასრულებულა, ბრბოს სანახაობა ჯერ კიდევ წინ ელოდა. მტირალს ვიღაცამ მუშტი უთავაზა, თავშიც დაუნდობლად ჩაარტყა და ზიზღნარევი ხმით მიაძახა - ჰაი შენ

უბედურო, შენა! - ერთი კიდევ, ერთი კიდევ ჩაარტყი ჩემ მაგივრადაც მაგ ჩანჩურას, მაგას!

ბრბოს მსხვერპლმა სიცილით მიმავალი სანახაობის მაყურებელნი რომ იხილა, პირველად ამოიოხრა მძიმედ, საშუნლად. საბედისწერო აღმოჩნდა ქუჩის კუთხიდან გამოვარდნილი პეტროვის გამოჩენა, რომელიც მათრახის ქნევითა და მუქარით პირდაპირ ჩანჩურასკენ წამოვიდა. გაქცეულ ჩანჩურას რა თქმა უნდა პეტროვი გამოუდგა, ვიღაცამ მურაც დაიძახა და კიდევ ერთხელ იგრძნო მურას გამარჯვებული კბილები საწყალმა ჩანჩურამ, რომელმაც უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, გარშემომყოფებს თავი დააღწია და დახრილი პატარა ქუჩას შეაფარა თავი, უცებ გულთან საშინელმა ტკივილმა შეაწუხა... ორი დიდი ცხენის ქვეშ ჩანჩურა კუნძივით გორაობდა. ჩანჩურა მტვერსა და სისხლში ფართხალებდა იგრიხებოდა ჰყმუოდა. მეორე დღეს ბოქაულისაგან დაბარებულმა პეტროვმა შეიტყო, რომ ჩანჩურა მოკვდა. ახლა კი პეტროვს ევალებოდა გაეგო მისი ვინაობა და წარმომავლობა, გაეგო საიდან და როდის ჩამოვიდა ქალაქში, რომელი რელიგიის მიმდევარი იყო, ოჯახი თუ ჰყავდა. მისი წლოვანებაც არ უნდა დავიწყებოდა. ყველაფერი დაწვრილებით უნდა დაეწერა და ბოქაულისთვის გადაეცა.

ჩანჩურას ტრაგიზმი ბედის ირონია აღმოჩნდა პეტროვისთვის. ახლა მას მხოლოდ ერთი სადარდებელი მიეცა, დარწმუნებული იყო, სამსახურიდან დაითხოვდნენ, თუ დავალებას არ შეასრულებდა. სწორედ ასეთი გვევლინება პეტროვი მოთხრობის დასაწყისშიც თითქოს მირაჟია ეს ფაქტი. ალბათ მიხეილ ჯავახიშვილის მხრიდან პეტროვის გაურკვევლობა ერთგვარი დაცინვა იყო იმდროინდელი სახელმწიფო მოხელეების მიმართ. პეტროვის შიში კი მწერლის მთავარი სურვილი იყო, რომ აუცილებლად დასრულებულიყო არსებული რეალობა. სწორედ, ამისთვის იბრძოდა მთელი მისი ცხოვრება მიხეილ ჯავახიშვილი. რასაც ფიქრობდა გულახდილად უშიშრად გადმოჰქონდა ფურცელზე. როგორც ბონდო არველაძე წერს „მიხეილ ჯავახიშვილი - სასწორზე შეგდებული სიცოცხლე“-ში.

განსაზღვრული იყო უკვე მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრების წესი და პრინციპები. შემოქმედი ერთგულად და თავდაუზოგავად მუშაობს და ამავ დროულად უხილავ პოლიტიკურ ცხოვრებაშია ჩართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის სტატუსით. როგორც მწერალი წერდა: „ჩემი საიდუმლო მუშაობა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში 1921-23 წლებში ჰგავდა ადამიანის საქციელს, რომელმაც ცურაობა არ იცის, მაგრამ სხვის დასახმარებლად ისკუპა ხიდიდან და წყალში გადავარდა“ (https://burusi.wordpress.com/2009/03/29/javakhishvili/) .

შესაბამისი სამსახურები თვალს არ აშორებდნენნ მწერალს, მისი თითოეული გადაწყვეტილება და გადადგმული ბიჯიც კი უყურადღებოდ არ რჩებოდათ. 1923 წელს დაატუსაღეს და განუსჯელად სასჯელის უკიდურესი ზომა უძღვნეს. სასწაული მოხდა და განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ. პირსისხლიანი ხელისუფლების სასჯელს მიხეილ ჯავახიშვილი მწერლების თხოვით გადაურჩა. პავლე ინგოროყვამ თანამოაზრეებთან ერთად, გაბედა სერგო ორჯონიკიძესთან მისვლა და დახმარების თხოვნა. საბედნიეროდ კარგ, მისთვის უჩვეულო განწყობილებაზე მყოფმა მასპინძელმა დიდი ქართველი დაინდო, მწერალი შეიწყალა. თორემ ეს ის პირსისხლიანი ჯალათია, რომ ვაჟა-ფშაველა გარდაცვლილი რომ არ ყოფილიყო, იმასაც ტყვიით გაუმასპინძლდებოდა.

განსაცდელი ამით არ დასრულებულა. სიმართლისთვის მებრძოლ მამულიშვილს ვინ შეაცვლევინებდა ცხოვრების პრინციპებს. ერთი შეხედვით მიყვებოდა ცხოვრების დინებას, მაგრამ ის ივიწყებდა დასახულ მიზნებს. 30-იანმა წლებმა ეს ნათლად აჩვენა. მართალია სტალინმა მიხეილ ჯავახიშვილს წითელი დროშის ორდენი გადასცა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ხელშეუხებლობას, მით უმეტეს ბერისათვის.

ამ პერიოდში საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი განაჩენი მზადდებოდა სისრულეში მოსაყვანად. ბერიამ გასცა ბრძანება მეტეხის ეკლესიის დანგრევისა. მიხეილ ჯავახიშვილი სხვა მწერლებთან ერთად მასთან სათხოვარით მივიდა, რათა

ხელი შეეშალათ ამ ბარბაროსული გადაწყვეტილების შესასრულებლად. დაუმტკიცეს, რაოდენ დიდ დანაშაულს ჩადიოდა მეტეხის ეკლესიის დანგრევით, აუხსნეს, შეუძლებელი იყო ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი და უნიკალური ტაძრის იავარქმნა. მწერალს მისთვის მიუგია: „ასეთ ძეგლს ევროპაში ოქროს ჩარდახში ჩასვამდნენო“ („კარიბჭე“ 04.03.2010) . ლავრენტიმ მართალია გადაწყვეტილება შეცვალა, მაგრამ ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. უვიცობაში მხილებულმა წყენა არ დაივიწყა, ბოღმა გულში ჩაიტოვა და მასთან მისულთაგან თითქმის ყველას სიკვდილი მიუსაჯა.

როგორც ხედავთ მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებაც შეგვიძლია ორ პერიოდად განვიხილოთ მეფის რუსეთის დროინდელი და საბჭოთა მთავრობის. როგორც უკვე გავეცანით არც ერთს არ უქნია მწერლისთვის სიკეთე. ასევე შეიძლება განვიხილოთ ჩანჩურას ცხოვრებაც ბაზრის ყოველდღიურობა არტუშასთან დამეგობრებამდე და არტუშასთან და მურასთან დამეგობრების შემდგომი პერიოდი.

ჩანჩურა ყოველთვის დაჩაგრულს, განდეგილს, მასხარას სახეს წარმოადგენდა, თუმცა არტუშასთან დამეგობრება, საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის, ისევე როგორც რუსეთის ბატონობა საქართველოზე - მიხეილ ჯავახიშვილისთვის. პერსონაჟსაც და ავტორსაც თანაბრად უჭირდა თავისუფალი სუნთქვა არსებულ რეალობაში, ორივესთვის მძიმე ყოფას ყელში თოკი მოება და სუნთქვას უხშობდა. ალბათ, სწორედ ამის ირიბი მინიშნებაა „ჩანჩურაში“ ფილტვის ნაჭერის მათხოვრობა, საწყალი, ძონძებში გამოწყობილი ჯუჯა ჩანჩურა ხომ სწორედ ფილტვის ნაჭერს თხოულობდა და ამით რამდენადმე აკომპენსირებდა რეალობის უჟანგბადობას.

მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ბრბომ იმსხვერპლა. პარადოქსული კანონებით დაისაჯა ჩაუდენელი დანაშაულისათვის, რაც ფაქტობრივად, გულქვა ადამიანების მიერ ორგანიზებული სასტიკი შეჯახება იყო ჩანჩურასა და მურას შორის, რის შედეგადაც გამოეთხოვა სიცოცხლეს. რაც მთავარია, ბრბო გაერთო კარგად შერჩეული

მასხარს სახით. გვახსოვს, იქვე, ქუჩის კუთხეში მყოფის დაცინვა, აბუჩად აგდება და მისით გართობა ყველას შეეძლო, და მერე როგორ, გულიანად იცინოდნენ.

სამწუხარო რეალობა იყო საზოგადოებისათვის ჩანჩურას აღსასრული, ოღონდ ეს მოგვიანებით გააცნობიერეს. განა მართლა ძაღლის გამო დაიღუპა ჩანჩურა, განა მართლა სადავო ფილტვი იყო იქ შეკრებილი საზოგადოების დაინტერესების საგანი? ეს უბრალო საბაბი იყო, მათ გართობა და სანახაობა აინტერესებდათ. იქ შეკრებილი უგულო ადამიანების დამცინავმა შეძახილმა, წაქეზებამ მოიტანა შედეგად ადამიანისა და ძაღლის დაპირისპირება. სხვაგვარად რომ განვითარებულიყო მოვლრები, ჩანჩურა არ დაიღუპებოდა. არავინ მოისურვა მისი დაცვა. ცხენის ჩლიქებში მოქცეულიც კი არ დაინდეს, განაგრძობდნენ მურას წაქეზებას, ეს სიკვდილის მომტანი ხმები კი ჯერ კიდევ ცოცხალ ჩანჩურას ესმოდა. საწყალი, უბედური და შესაბრალისია ჩანჩურ, რომელსაც საზოგადოებამ გასართობი ნივთის ფუნქცია დააკისრა მხოლოდ და არა ადამიანისა.

მხოლოდ დასასრულს მიხვდნენ სასაკლაოზე შეკრებილი ადამიანები ჩადენილი ცოდვისა და დანაშაულის სიმძმეს, მაგრამ ამას რაღა აზრი ჰქონდა. ურემზე დადებული ჩანჩურა სიცოცხლის ბოლო წუთებს ითვლიდა. თუმცა არც ეს სინანული იყო ბოლომდე გააზრებული.სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ჩანჩურას უცებ არ დაივიწყებდნენ.

უდიდესი ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი, ბუნებრივია ბრბოს სისხლის დაღვრის მოთხოვნილება იყო, ბრბოსი, რომელიც ასე შორს იდგა სამართლიანობისაგან. მისი თითოეული წევრი მხოლოდ პირად ბედნიერებასა და სიამოვნებაზე ზრუნავდა, ასე რომ არ ყოფილიყო, ასე სასტიკად არ მოექცეოდნენ დაუცველ მსხვერპლს.

სინანულისა და თანაგრძნობისაგან დაცლილი საზოგადოების არსებობაა პრობლემის გამომწვევი მიზეზი, სიყვარულისაგან და ჰუმანურობისაგან განზე გამდგარი ადამიანები შესაბამისი ვითარების შექმნისთანევე, უცებ იქცევიან ბრბოს

წევრებად. ადამიანის შებრალება რომ შეძლებოდა ჩანჩურას ირგვლივ შეკრებილ ბრბოს და იგი ადამის ძედ მიეღოთ, ეს დიდი ცოდვა არ დატრიალდებოდა.

ამდენად, მწერალს თავის ნაწარმოებში უდიდესი მგრძნობელობით და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ასპექტების გამოყენებით აქვს ნაჩვენები ბრბოს დაპირისპირება ჩანჩურასადმი. დაუნდობელი, ცოდვის მორევში ჩაძირული ბრბო ოღონდ დატკბეს სანახაობით და მზადაა, ძაღლს ადამიანი დააფლეთინოს. ეცნობი სიძულვილისთვის განწირული ბიჭის ისტორიას და ზიზღით განეწყობი მზაკვარი, უსამართლო ცხოვრების მიმართ.

თავი IV. ბრბოს მსხვერპლი „ნატვრის ხის“ პერსონაჟები

XX საუკუნის ქართული მხატვრული აზროვნების განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ მწერალს გიორგი ლეონიძეს. მისი შემოქმედების გაცნობითა და ზიარებით მკითხველი დღესაც უდიდესი ესტეთიური სილამაზის ნაწილი ხდება და ამაღლებული განწყობა ექმნება. ამგავრი დატვირთვა მისი პოეზისა და პროზის შედევრებისა მხოლოდ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის დამახასიათებელი როდია. უდიდესი ჰუმანიზმის და მაღალი მორალურ-ზნეობრივი ღირებულებებისათვის განსაკუთრებული დამოკიდებულება მწერლის შინაგანი სამყაროს სიცოცხლის წყაროა. როგორც ნესტან ლეონიძე ახასიათებს მამას, გოგლას ადამიანების დახმარება და მათი პრობლემების მოგვარება უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. ზღვა სიყვარულს იტევდა მისი გული, მთავარი იყო სხვას დახმარებოდა, უსამართლობას შებრძოლებოდა და დასნეულებულ სამშობლოს მოსალბუნებოდა. კარგად ჰქონდა გათავისებული თავისუფლების ფასი.

პატარებისთვის ფრინველებს ყიდულობდა და მერე მათვე აღებინებდა გალიის კარებს, რათა ბავშვობიდანვე ზიარებოდნენ თავისუფლების მინიჭების საოცარ განცდას.

სიცოცხლეზე შეყვარებულ გიორგი ლეონიძეს სიკვდილი ეჯავრებოდა. ასევე ეჯავრებოდა ძალადობა (https://burusi.wordpress.com/2009/09/20/giorgi-leonidze-3/). სწორედ, ძალადობის მოძულესა და დამგმობს შეეძლო ისეთი ღრმად ფსიქოლოგიური ნაწარმოები დაეწერა, როგორიც მოთხრობა „ნატვირის ხეა“. ავტორმა გვიჩვენა ის მდგომარეობა, როცა სულიერ სამყაროს ფსიქიკური სძლევს და სწორედ მაშინ იბადება ადამიანში ახალი სასტიკი დაუნდობელი არსება, რომელიც სიცოცხლის წამრთმევადაც იქცევა ხოლმე.

კაცთმოყვარე და სიკეთით აღსავსე შემოქმედმა „ნატვირს ხეში“ დაგვიხატა კაცთმოძულე საზოგადოების ცოდვილი სახე, რომელიც ბრბოს ნიღბით ევლინება მზეჯბარა, ალნაკად მარიტას. შემდეგ კი მისი სილამზის დამიწებისა და ფიზიკური მოსპობის მიზეზი ხდება. გვიჩვენა ბრბო, ვის გამოც კიდევ უფრო იჩაგრება მეოცნებე ელიოზი, უთვისტომო ფუფალა და თვით ბრბოს წინამძღოლი ციციკორეც კი...

ალბათ იკითხავთ რა დაუშავა ერთმა უბრალო გლეხის გოგონამ თანასოფლელებს, ასე სასტიკად რომ დასაჯეს. იგი პერანგის ამარა ვირზე შესვეს და მისი არამქვეყნიური სილამზე ტალახში ამოსვარეს. მისი დანაშაული სწორედ, რომ ღვთიური სილამაზე და გედია ნათელიძის სიყვარული იყო. მარიტას სილამაზეს და სიყვარულს ემტრო ციციკორეს არამკითხეობის კირთებქვეშ მოქცეული გონებადახშული საზოგადოება, ისე რომ არც კი გაურკვევია შინაბერა ბალბუკას ნაენაევი, ჭორშესხმული ამბავი მარიტას და გედიას ვითომდა საცოლქმრო შეყრის შესახებ მართალი იყო თუ ტყუილი. გარკვევა არც იყო საჭირო, რადგან როგორც ამ ამბის შემტყობი განრისხებული ციციკორე ამბობდა - „განა სოფელი ბრმა არი? ორღობეც ხედავს ყველაფერს და ჭურჭელიც! მირონი დააქციეს, ტალახში შარიეს, ქვეყანა შეგვიგინეს, ქვეყნის გადაჯიშების ნიშანია სწორედ!“ („ლეონიძე“ გვ:231)

ცეცხლმოკიდებულმა სოფლის მეუფროსემ მთელი სოფელი თავის მხარეს მოიბა მკაცრ გადაწყვეტილებაში.

ასე გაუკითხავად გახდა განკითხვის მსხვერპლი უმშვენიერესი მარიტა, ასე თვითნებურად მონათლეს თანასოფლელებმა სოფლის თვალი დამნაშავედ...

სამწუხაროდ ადამიანებმა ვერ შეამჩნიეს მარიტას სულიერებისა და ფიზიკური მშვენიერებაში ღვთიური კვალი, რაც პირდაპირი მინიშნებაა ამ ხალხის უფალთან და მორალთან დაშორებისა. მარიტა ამ ქვეყნად მოვლენილი ღვთის საჩუქარი იყო, თუმცა სოფელმა ვერ დააფასა ეს, მეტიც, ეშმაკს ეძმო და თავისი დესპოტიზმით, როგორც მარიტას სიცოცხლის, ასევე უფლის ხელისმყოფელად იქცა.

ამ ადამიანებში ნელა-ნელა მზადდებოდა საფუძველი უფლის გმობისა და მარიტას განადგურებისა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა უფლის გმობის და მარიტას განადგურების მიმართ ჯერ კიდევ მაშინ როცა მარიტასა და გედიას უცოდველ სიყვარულს უმტრეს. სწორედ მაშინ ჩაქრა მარიტას სულში სანთელი, ეს არ იკმარეს და შემთხვევით მარტოდ დარჩენილ მარიტასთან ოჯახის ნათლიის, გედიას, მისვლა საცოლქმრო შეყრად მონათლეს. მარიტას მამის ჩიჩიკას ეჭვი თუ რა უნდა უსიყვარულო სიყვარული? კალთაში ჩაეშლებაო! ოქროთი ვერ მოიგებ ბედნიერებასაო!“ მართალი აღმოჩნდა. ბებიასგან სიღარიბისთვის ვერ გამეტებული მარიტა მლაშე, ზვიად, ყომრალ, მგლისფერ თუმცა სიმდიდრით დამტკბარ შეთეს მიათხოვეს.

გედიას სიყვარულით გულანთებული გოგონა მიესვენა, რა გაიგო სხვათა მიერ გადაწყვეტილი თავისი ხვალინდელი დღე. რა დარჩენოდა? გამტვერდა მარიტას ოცნებანი. გიორგი ლეონიძე საოცარი სულში ღრმად ჩამწვდომი სიტყვებით გადმოგვცემს მარიტას სიყვარულის ტრაგიზმს - „ვარსკვლავმა გვირგვინი ჩამოყარა... ლალის საყურე გაშავდა...“ („ლეონიძე“ გვ:230) სხვა არცა იყო მოსალოდნელი. შეთე გულგოროზი, გულბოროტი, სხვათაგან უარყოფილი ადამიანი იყო, რომლის ერთაერთ საზრუნავს დოვლათის დაგროვება და გამრავლება იყო. ვინ იცის, ერთი

დღის განმავლობაში რამდენჯერ ითვლიდა შემოსავალს. უპოვარი თანასოფლელები ხომ ეჯავრებოდა და არაფრად არაფრად მიაჩნდა, მათ დასცინოდა კიდეც: გაბოტილი იდგა და ჰკილავდა - თანატოლები რად უნდა ვიყვნეთ ქონებული და უქონელი? მარიტას უდიდეს ტკივილის აყენებდა შეთეს თვისებები.

ასეთი იყო მარიტასა და შეთეს თანაცხოვრების სამწუხარო რეალობა. თუმცა ერთ საბედისწერო დღეს მარიტას ღიმილს მოწყურებული გედია და პირმეტყველი სამოთხე ისევ შეჰყარა ბედმა ერთმანეთს. ავტორი მათ ახალ ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს უწოდებს. არაჩვეულებრივ ფონზე გვიხატავს ავტორი გედიასა და მარიტას შეხვედრას, თითქოს ამ წყვილის ერთად ყოფნა სამყაროს ჰარმონიის აპოთეოზია. თითქოს ბუნებაც მათი სიყვარულის მოზიარე ხდებოდა, თითქოს ამ უკანასკნელთ თავიანთი სიყვარულით ბუნების კანონზომიერებაში წვლილი შეჰქონდა. თუმცა ადამის ძე იყო მათი სიყვარულის წინააღმდეგი. ხალხი აღტაცებული იყო მარიტას მშვენიერებით ბევრს უთქვამს მისთვის შენ ,,მზევარ'' უნდა გერქვას. ვისაც უფალი არ გინახავთ, ეს გოგონა იხილეთო და მართლაც, სილამაზის საცქერად სხვადასხვა სოფლიდან მოდიოდინენ ადამიანები. უკვირდათ, რა ძალამ შექმნა ეს მშვენიერება. მისი შინაგანი სილამაზე ფიზიკურს ჩრდილავდა.

გოგონა კარაგად ითავისებდა ღვთისგან ბოძებულ სიმდიდრეს და მადლიერებით გასხივოსნებული სათუთად იცავდა ღვთიურ განძს.

ასეთი ყოვლად უნაკლო სრულყოფილი მარიტას სახე გვარწმუნებს მკითხველს, რომ ადამიანი მართლაც ღვთის ხატება და მსგავსებაა, თუმცა ქვეყანაზე უღვთო მდაბიო აზროვნების ხალხიც არსებობს. არსებობს იმიტომ, რომ უფლის შემოქმედებას ეშმაკმა ხელი დარიოს! ეს ხომ მარადიული ბრძოლაა კაცობრიობის ისტორიაში და ადამიანის სულში, ისევე როგორც მშვენიერების არსებობა სამყაროში და ადამიანში. მაგრამ რა მოხდა? რატომ უარყო უფლის ნამოქმედარი უმშვენიერესი მარიტა ხალხმა? ისინი ხომ აღტაცებულნი იყვნენ მისით.

განა მართლა დარია ხალხის სულს ეშმაკმა ხელი?

დარია თუმცა ბოლომდე ვერა, ვერა იმიტომ რომ როგორც არ უნდა უარვყოთ უფალი, ის მაინც ეცდება ჩვენში შემოსვლას! მაგრამ ამისთვის ზოგჯერ მსხვერპლია საჭირო. სწორედ ამიტომ თავიდანვე სამსხვერპლოდ იყო მარიტა განწირული. ხალხის გონების, სულის და მათგან ბრბოს სახის წარეცხვისათვის მარიტას ფიზიკური განადგურება გახდა საჭირო. გაითავისეს რა მისი ცოდვის ჩამდენმა თანასოფლელებმა მარიტას გარდაცვალება, მწარედ განიცადა, ზღვიერის ცრემლით დაიტირა თავისი მზეჯვარა. ციციკორემაც კი რომელსაც თავი მართალი ეგონა, მაინც ენანებოდა „ნორჩი“, მარიტა და ვერ იგებდა, ეს გრძნობა საიდან წამოვიდა, როგორ დაკარგა ძალა და მის ხარჯზე როგორ იშვა სიბრალული.

გლოვის კვამლით გაშვდა სოფელი გათხრილ სამარესთან, როდესაც მოახლოვდა ჟამი დაშვიდობებისა და ცხედრის სამარეში ჩასვენებისა. თანასოფლელებმა კი მომხიბლავ მარიტას შეურაცხმყოფელმა ხალხმა, ახლა კი შეშინებულმა, უკან დაიხია, არავის ეყო გამბედარობა მარიტას არაამქვეყნიური მშვენიერებისათვის დაეყარა მიწა. ეს თითქოს იმის ნიშანიც იყო რომ სოფელი გამოფხიზლდა, უფალი ისევ იპოვა თავის თავში და სინანულს მისცა თავი. ეს იყო ნიშანი იმის რომ ვერანაირი ეშმაკისეული ძალა ვერ მოსპობს ღვთის ძალასა და ღვთაებრივ მშვენიერებას უფლის მიერ შექმნილ სამყაროში. სწორედ ამის გამოხატულებაა მარიტას ნასახლარზე ამოსული მარიტას სახესავით ალაკრული ბროწეულის ხეც. ბრბოს ნამოქმედარი სოდომ-გომორის ცოდვას რომ უტოლდებოდა, თვით ამ სოფლის მიმართ მოვლენილი ღვთის სასჯელიც მიგვითითებს! როგორც ხალხი იტყოდა მარიტას სიკვდილმა მზე გადააბნელა, ქვეყანა დააცარიელა, ქვა დაადნო, კლდე დაშალა... მთელი წელიწადი უწვიმარი იყო. ყანები ჩაწვა, ვაზი გავერანდა, სასმისი ვერავინ გაანედლა. ღვინის გარეშე საწნახელი. ამ ყველაფერში გასაოცარი კი ის იყო, რომ მთელ ამ უბედურებას მარიტას უსამართლო სიკვდილს აბრალებდნენ. გონსმოსულმა სოფელმა გააცნობიერა თავისი ნაპირუტყვალი და მარიტას სიკვდილი უსამართლობად შერაცხა, რითაც ისევ დაიბრუნა ადამიანის სახე და უფალს რამდენადმე დაუახლოვდა ისევ.

საინტერესოა ისიც თუ როგორია მარიტას სიყვარულის, გედიას სახე ამ ნაწარმოებში? მასაც მიუძღვის თუ არა წილი მარიტას უბედურებასა და მსხვერპლად გაწირვაში? არის თუ არა გედიაც რამდენადმე ბრბოს ნაწილი?

ჩემი აზრით არის, არა იმიტომ, რომ ისიც მარიტასავით ღარიბი, უქონელი, უყოლელი, უმამულო იყო, არამედ იმიტომ რომ უმოქმედო იყო, მაშინ როცა თავის სატრფოს ოჯახი სხვაზე ათხოვებდა, მაშინ როცა სოფელი სასტიკ სასჯელს უმზადებდა მარიტას გედია არსად არ ჩანს. გედია დამნაშავეა, მაშინაც როდესაც შეთეს ნათლობაზე თანხმდება და საერთოდ სხვის დანაშაულზე თვალდამხუჭველი, ვფიქრობ, რამდენადმე თვითონაც დანაშაულის უშვალო მონაწილე ხდება. უარსებო გედია ვერ ცვლის დიდედა ლელაურას გადაწყვეტილებას, მარიტას შეთეზე მითხოვებისა. ასეც მოხდა და სწორედ, მაშინ დაიწყო მარიტას ნისლისფერი ცხოვრება. გედიამ ვერ შეძლო ფერადი მარიტას კიდევ უფრო გაფერადება და უნებლიე დამნაშავედ იქცა თვითონაც. გაუბედურებულმა გედიამ უცხო მიწას შეაფარა თავის, თათრებში და აქვე აღესრულა. ქალ-ვაჟის სიყვარულში აუცილებელია ხორციელი და სულიერი საწყისები ერთად რიგდებოდეს, ეს გრძნობა ღვთაებრივთან უნდა იყოს წილნაყარი. მართლაც, მოსჩანდა მარიტასა და გედიას ურთიერთლტოლვაში ღვთაებრივი ნაპერწკალი, თუმცა ცხრამეტი წლის მეძროხე გედიას არ ეყო ძალა ტარიელობისა, რაც მოითხოვდა მიჯნურისთვის თავდადებას, დაბრკოლებათა გადატანას, განსაცდელის გადალახვას. არადა გედიას გვარიც ფრიად დასაფიქრებელია ის ნათელიძე იყო, მას მართლაც უნდა შესძლებოდა მარიტას გაბედნიერება, იმდენად რამდენადაც ნათელი ნათელს შეერწყმებოდა, თუმცა ეშმაკის მანქანები ყოველთვის თან დასდევს კაცობრიობას, ხანდახან კი ჩვენი მოქმედებით ან უმოქმედობით ზედ გადაგვივლის და სულ ერთიანად ამოჰხოცავს ჩვენს სულში რაც კი ღვთიურია.

განა თინათინის ტოლი და სწორი არ იყო მარიტა? დიახ ისინი ორივე მზესთან სინათლესთან იყვნენ წილნაყარი. მაგრამ სამწუხაროდ ტარიელობას ვერ გასწვდა გედიას სიმამაცე.

„ნატვრის ხეში“ კარგად ჩანს როგორ ექცევა სილამაზესა და ღვთაებრივ მშვენიერებას ადამიანი. მარიტას მშვენიერება არა მარტო გლეხის ქალის ტრაგიზმის აღწერაა, არამედ ის არის განზოგადებული სახე-სიმბოლო და იდეა მშვენიერებისა, რომელსაც უპირისპირდება და უარყოფს ირგვლივმყოფი საზოგადოება. იმას კი ვერ აღიქვამს რომ მშვენიერების გარეშე სამყარო ისევ წყვდიადად იქცევა. მარიტას მშვენიერება კი მის მზესავეთ, სეფე სანთელივით სინათლეში მდგომარეობდა. ზოგადად ნათლის, სინათლის ყოფნა სამყაროში ღვთიურ სურვილს უკავშირდება, უფალმა ხომ სამყაროს შექმნისას პირველ რიგში წყვდიადისგან გაყო ნათელი და თქვა უფალმა: „იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი“ (დაბ.1.3).

შესაბამისად ღვთის სურვილია სინათლის მუდმივობა, მაგრამ როგორ იქცევა ცნობიერებას მოკლებული ადამიანი? ბნელისკენ მიილტვის სანამ სინათლის ფასს არ გაიგებს! და როდის იგებს ის სინათლის ფასს? მაშინ როცა დაივიწყებს რომ ღმერთი სიყვარულია! სინათლე კი როგორც ვიცით უფლის ხატებაა... მარიტას ოჯახმა ვერ გააცნობიერა რომ სამყაროს სრულყოფისთვის ნათელი ნათელს და მოსიყვარულე სულები ერთმანეთს უნდა დაკავშირებოდა. დიდედა ლელაურს უხეშად რომ ვთქვათ სიხარბემ სძლია ვერ გაიმეტა ისედაც უქონელი შვილიშვილი საბოლოო სიღარიბისათვის. ვერ გააცნობიერა, რომ მდიდარ შეთეზე ქორწინება ნათლის წყვდიადთან შეერთება იქნებოდა, რაც უფლისთვის და სამყაროს კანონზომიერებისთვის რა თქმა უნდა მიუღებელი იქნებოდა.

სადაო არ უნდა იყოს, რომ მარიტას წინაშე უკლებლივ ყველა, მართალია, ზოგი ნაკლებად, ზოგი მეტად, თუმცა მაინც პირდაპირი დამნაშავეა. მკითხველმა უნდა გააცნობიეროს, რომ მარიტას წინაშე დანაშაული არამარტო მოენავე ბალბუკას და ციციკორეს არამედ, მთელ სოფელს აქვს. კაცობრიობას უფალმა არჩევანის უფლება

მისცა სიკეთესა და ბოროტებას შორის. ამბობენ პიროვნებად ადამიანი კი არ იბადება, არამედ ყალიბდებაო. ჩემი აზრით, ეს რამდენადმე არასწორიცაა. უფალი მართლაც რომ პიროვნებად გბადებს, გასაჩუქრებს სიბრძნით, აზროვნებით, თავისუფლებით არჩევანით ღვთიური სულიერებით ამ ყველაფრით განგასხვავებს სხვა არსებებისაგან. სწორედ რომ ამ ყველაფრის უარყოფით კარგავს ხალხი პიროვნულობას, ადამიანურობას და ბრბოდ გადაიქცევა. გადაიქცევა იმიტომ რომ მას ახასიათებს უფიქვრელობა. სწორედ დაუფიქრებლობამ გაურკვევლობამ ეჭვშეუტანლობამ გასწირა მარიტა.

ბუნების გარდა კაცისშვილი არ იყო მარიტას დამცველი, ბრბოს შემჩერებელი და მისი ჭირის გამზიარებელი. ისიც უნდა აღვნიშნოთ, თითქოს ბუნება თავიდანვე გრძნობდა მოსალოდნელ უბედურებას და ციციკორეს ტირანულ გადაწყვეტილებას - მარიტა სამარცხვინოდ დაესაჯათ, ვირზე უკუღმა შეესვათ, მთელი სოფელი ჩამოეტარებინათ და ტალახი ესროლათ.

ზაფხულის ნაცრისფერი დილა გათენდა, ნაწვიმარი, ნაცივარი. მარიტას სოფლის ცაზე ზეცაც იყო შეციებული, ატალახებული, გაშავებული, ორღობე უფრო ჩაშავებული. წვიმის წვეთები კი ცრემლებივით ცვიოდა. და ამ ფონზე სოფლის ბრბო უხმოდ მოდიოდა, ღვარმოდენით, ჩოჩქოლით გაონავრებული, გაძაღლიანებული, მრისხანებას აფრქვევდა, აბორგებული, აკვნესებული ბოღმას ანთხევდა, ნიშნის მოგებით დღესასწაულობდა რაღაც სასურველს? და რას? აცახცახებული და უმანკო მარიტას შერცხვენას? სციოდა, სტკიოდა, სცხელოდა, იგმირებოდა და სიკვდილი ენატრებოდა! დიახ, ბრბოდ ქცეული ხალხი ზეიმობდა და მასთან ერთად ეშმაკიც, რომ ყოველივე მშვენიერი სამყაროში უშუალოდ დაღუპვისთვის განმზადებულა, თუმცა იმის იმედს, რომ უფალთან ეშმაკი ვერასდროს გაიმარჯვებს, ავტორი განსაკუთრებული მიგნებით რიტორიკული კითხვებით გვისახავს... როგორ ჩნდება მშვენიერება? სად მიიმალება და სად მიიკარგება?

ცხადია სილამაზე ღვთისაგან მოდის და ისევ უფალს უბრუნდება სამოთხეში! როგორც ტექსტშია ნათქვამი მარიტაც ხომ უფალს დაუბრუნდა, თურმე ზეცაში მტრედი აიჭრა სამახარობლოდ - მარიტა მოემართებაო! იმქვეყნად ოქროს სკამი დაუდგეს, დაღლილს დასვენება ენდომობაო! უფალს მისი გაცოცხლება მოუსურვებია, მაგრამ ისეთი მშვენიერი იყო დედამიწისთვის ვერ გაიმეტაო, სულ გვერდით ჰყავს ვარსკვლავადაო.

და სად იკარგება სილამაზე? ალბათ არსად, ეს ჩვენ ვიკარგებით ცოდვისგან დამძიმებულნი, ამიტომაცაა, რომ სანამ უფალს ვიპოვით, სილამაზეც ჩვენს თვალს მოეფარება დროებით! მერე კი ისევ უფალი როგორც გზააბნეულ კრავს გამოგვედევნება და ჩვენს სულშიც აყვავდება ცეცხლისფრიანი ბროწეულის ყვავილი, ისე როგორც მარიტას ნასახლარზე.

ამ დროს ალბათ ეშმაკს ისევე როგორც ავტორს არ ეჯერებოდა წუთისოფლის შურსა და სიძულვილში ყვავილით აბრდღვიალებული ხე როგორ ამოსულიყო სხვათა დახმარების გარეშე, ადამიანების უნებურად. მასაც არ დაეჯერება ასე ცოდვით დამტვერილ დანაგვიანებულ სულში როგორ იყვავილა ღვთიურმა საწყისმა? როგორ და უფალი ყოველთვის მზად არის გზააბნეულს გამოედევნოს სწორი გზა უჩვენოს და სინათლეში გამოიყვანოს...

გიორგი ლეონიძის მოთხრობაში ,,ნატვრის ხე'' აღწერილია თუ როგორ იქცევა ინდივი ბრბოს ნაწილად, როგორ ერთიანდებიან ერთი მიზნითა და მიზეზით ადამიანები უმანკობის, სიკეთისა და სილამაზის დასამარცხებლად. მარიტას შემოჯარვია ბრბო, რომლის წევრების თვალებს საერთოსგან ვერ გაარჩევ, ცალკეულ ადამიანთა მაჯისცემასა და გულისცემას საერთოსგან ვერ გამოყოფ, ყველგან და ყველაფერში ღვარცოგად მოვარდნილი უგნურება, სიბნელე, სიძულვილი და ბოროტებაა დასადგურებული.

ბრბოს პირსისხლიან ფსიქიკას შეწირულ პერსონაჟთა სატკივარი მარიტაზე საუბრით არ სრულდება. გიორგი ლეონიძე „ნატვრის ხის“ პირველივე თავში ორი,

ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პიროვნების პორტრეტს გვიხატავს, რითაც თითქოს თავიდანვე გვამზადებს მთელ ნაწარმოებში დახატული ცხარე მეოცნებე ადამიანებისთვის და მათი მტრის - უსამართლო და უმართავი ბრბოსთვის. რაც ნებისმიერ ნამდვილ მკითხველს, როგორც ვასიკო კეჟერაძე ამბობს: „მარცხენა ხელზე მაჯიდან იდაყვამდე დაბურძგლავს“(გურამ დოჩანაშვილი). და თქვენ, ნამდვილო მკითხველო თუ წაიკითხავთ ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ ისეთ ღირებულ ნაწარმოებს როგორიც „ნატვრის ხეა”, თქვენც დაგბურძგლავთ და გაგივსებთ გულს ემოციებით. შეუძლებელია ტკივილმა არ შეგიპყროთ უღარიბესი, მუდამ მშიერი ელიოზის პერსონაჟის გაცნობით.

ამბობენ „ოცნებას კაცი არ მოუკლავსო“ თუმცა ასე სულაც არ არის. სწორედ, რომ ნამდვილი მეოცნებეა, ზოგჯერ განწირული. ელიოზიც ოცნებას გადაყოლილი, როგორც ავტორი ამბობს, ნაზი გულის ადამიანი იყო. აღსანიშნავია, რომ მძიმე რეალობამ ელიოზის მეოცნებე სული კიდევ უფრო მიზანდასახული და მებრძოლი გახდა, ცდა არ დაუკლია უსარჩოო ელიოზს ოცნების ასასრულებლად. ჯერ ოქროკვერცხას ეძებდა, შემდეგ ნათელთევზას, ბოლოს კი ნატვრის ხის ნაყოფს, რაც ელიოზის ისედაც ტრაგიკული ყოფის კიდევ უფრო ტრაგიკული დასასრულის მიზეზი გახდა. აი ერთ ზამთრის დილას ტყიდან ჩამოასვენეს გაყინული ელიოზი. ნატვრის ხის ძიებაში, მის ყარაულობასა და მოლოდინში მართლაც ულამაზესად ყინულით აყვავებულიყო ხის ქვეშ.

უფალმა ადამიანს თავისუფალი არჩევანის ნება მისცა!

და საერთოდ რა არის, ვინ არის ადამიანი?

ადამიანი არის საზრისის, სიტყვის, ფიქრის მატარებელი არსება... მაშასადამე, ადამიანის საზრისიც, სიტყვაც, ფიქრიც უნდა იყოს თავისუფალი და არა ვისიმე ზეგავლენის ბორკილებში მოქცეული, რომელიც დღენიადაგ უფრო და უფრო გიჭერს, რათა არ ეცადო მისგან გათავისუფლებას.

კაცობრიობის ისტორიაც ხომ მეტი არაფერია, თუ არა ბრბო და მის ბორკილებში მოქცეული ჩაგრულთა ისტორია. ცხადია, ეს ყველაფერი მსოფლიო ლიტერატურაშიც თავს იჩენს და გამონაკლისი არც ქართული ლიტერატურაა. მსგავსი საკითხები ნათლადაა დახატული ისეთ ნაწარმოებებში როგორიცაა თუნდაც „ნატვრის ხე“

და თუ ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, მორალურად და ზნეობრივად ამაღლებულმა პიროვნებამ იცი, რომ ქრისტიანობის არსი სიყვარულია, იცნობ მაცხოვრის ქადაგებას - საკუთარი თავივით უნდა გიყვარდეს მტერი. მოვალე ხარ არ დაივიწყო სიყვარული და სწორედ მაშინ, როცა ადამიანი ივიწყებს სიყვარულს, სხვებს ექცევა მათ ზნე-ჩვეულებათა მიხედვით, მარტივია იქცეს ბრბოს წევრად ან ბრბოს წინამძღოლად.

ადამიანი არ უნდა დაეშვას იმ დაბალ დონემდე, რასაც „განსხვავებულის“ გაკიცხვა და ჩაგვრა ჰქვია. გიორგი ლეონიძის მოთხრობის „ნატვრის ხის“ ერთერთი პერსონაჟის ციციკორეს მსგავსი ადამიანისთვის კი სხვათა გაკიცხვა, შევიწროება და ჩაგვრა მის „ღირსების“ მასაზრდოებელი იყო. მას ხომ, როგორც თვითონ ამბობს, უფლისგან ჰქონდა სოფელი ჩაბარებული. ესოდენ დიდი სოფლის დიდი მეუფროსე, დამცველი და გამგებელი ნებით თუ უნებლიედ, თვითონვე იქცა თანასოფლელთა უფლებადამრღვევად. სწორედ, ციციკორეს წყალობით მარიტა - მიწიერი მშვენიერების, რომანტიკული სიყვარულისა და სათნოების ხორცშესხმული სიმბოლო, სოფლის მზეჯვარა გაიმეტა თანასოფლელთა ბრბომ.

ციციკორეს, ცხადია, არ ჰქონდა უფლება დაესაჯა მარიტა, იმის გამო რომ ის მის ეთიკური თუ მორალური ღირებულებების ჩარჩოში ვერ ჯდებოდა. თუმცა განრისხებული ციციკორე მხოლოდ ერთს ფიქრობდა „მირონი დააქციეს, ტალახში შარიეს, ქვეყანა შეგვიგინეს, გაუგონებელი ამბავია, ძნელად დასაჯერებელი, ქვეყნის გადაჯიშების ნიშანია სწორედ! მერე ვის დროს ხდება: ჩემს ხელში!“ (გიორგი ლეონიძე გვ:231) აღსანიშნავია, რომ ციციკორეს კიდევ უფრო აგიჟეთბდა და გმინვას ჰგვრიდა იმის ფიქრი, რომ მარიტას და გედიას ვითომდა საცოლქმრო შეყრის გამო, ღმერთიც მას მოსთხოვდა პასუხს, ქმარიც, სოფელიც და ჩამომავლობაც!

უფალი ბრძანებს! არ განიკითხო რათა თვითონ არ იყო განკითხულიო! შეიძლება ითქვას ციციკორე ამასოფლადაც განკითხული შეიქმნა. სიცოცხლეში გრძნობაგაუხ-ეშებული ციციკორე ისე გასწირა თანასოფლელებმა და ახალმა ცხოვრებამ, რომ ადრე ყველასგან ჭკუასაკითხი, სოფლის მეუფროსე გამომტვრეულ ნაპრალს დაემსგავსა. უსარგებლო შეიქმნა, უარსებოს დაემგვანა, სოფელში ვეღარ გამოდიოდა და ვინ? ციციკორე? რომელიც დღენიადაგ სოფელზე ზრუნავდა.

უნდა აღვნიშნოთ, ციციკორეს სახის ორბუნოვნება „ნატვრის ხეში“ მკითხველის თავდაპირველი შთაბეჭდილება ამ გმირის მიმართ შეუძლებელია დადებითი არ იყოს. მას ხომ ავტორი ისე გვაცნობს, როგორც სოფლის მომვლელს, გაჭირვებულის ქომაგს, უანგაროს, მუხლჩაუხრელად მშრომელს; ყოველგვარი უზნეობის, უწესობის, სიზარმაცისა თუ სხვა ადამიანურ მანკიერებათა წინააღმდეგ მებრძოლს, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ციციკორეს ბუნების ერთი მხარეა. ამ თითქოსდა კეთილშობილური ხასიათის გვერდით, კიდევ უფრო ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მის პიროვნებაში ტირანს, დესპოტს, რამაც საბოლოოდ მთელი სოფელი ბრბოდ აქცია. ბრბოდ, რომელიც გაუცნობიერებელი მიზეზი გახდა უდანაშაულო, უმწეო მარიტას უმძიმესი ტრაგედიისა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ბრბომ, რომელმაც ბარბაროსულად დაუნდობლად, ძალადობით მოსპო მარიტა თავისი მიწიერი მშვენიერებითა და ამაღლებული სულით, საბოლოოდ გონს მოსულმა იგრძნო თავისი ნამხეცავი, ნაპირუტყვალი! მიხვდნენ რა საშინელი ცოდვა და დანაშაული ჩაიდინეს. მთელმა სოფელმა საშინლად იტკივილა მარიტა. ზღვიერის ცრემლით დაიტირა თავისი მზეჯვარა. მათთან არ იყო მხოლოდ სოფლის მეუფროსე ციციკორე. თავი უმძიმესი ფიქრებისათვის მიენდო და სინანულის ნიშანწყალსაც კი ვერ შეტყობდით. ფიქრობდა, რომ ცამდე მართალი იყო, უძველესი ზნეობა იხსნა შერცხვენისაგან. ასე აღწერს ავტორი მარიტას გვამთან მდგარ ციციკორეს სახეს, რაშიც ნათლად ჩანს ავტორის დამოკიდებულება ციციკორეს და ბრბოს სისასტიკის მიმართ. გიორგი

ლეონიძე „ნატვრის ხეში“ წარმოადგენს, თუ რა დონემდე შეიძლება დაეშვას ადამიანის სული, როგორ წამიერად შეიძლება აჰყვეს ბრბოს საერთო ფეხის ხმას და ჩაებას ბოროტების ფერხულში; როგორ შეიძლება გონიერმა, მოაზროვნე არსებამ საკუთარი ნების, ადამიანური გრძნობების, გონებისა და პიროვნების ბრბოს ტალღებში გათქვეფა დაუშვას.

მაშასადამე, როცა ბრბოს შეერწყმები, ხდები არაცნობიერი, ემოციებს აყოლილი არსება და მზად ხარ პირველმა ესროლო მსხვერპლს ქვა. გავიწყდება რომ შენც ცოდვილი, უბრალო და რიგითი მოკვდავი ხარ! გავიწყდება რომ უფალმა ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ ანდო ადამიანის სინდისს და ფარისევლებისგან მრუშობისას შეპყრობილ ქალზე ფარისევლებს უთხრა: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად იმან ესროლოს ქვა“ (იოანეს სახარება 8.7). როგორც ჩანს მაშინ სინდისმა თავისი ქნა და ამ სიტყვების გაგონებისას უხუცესებიდან მოყოლებული, სათითაოდ გაიკრიფნენ...

შენ ვინ მოგცა ადამის ძევ ნება ადამისვე ძე განიკითხო? ადამისვე ძეს სიცოცხლე მოუსწრაფო? ადამისვე ძეს რაიმე დაუშავო? ისიც ხომ შენი თანასწორია, უფალმა ხომ ორივეს თანასწორად გიბოძა თავისი ხატება და მსგავსება!

თუმცა ციციკორეს მხოლოდ თავისი სამართლისა სწამდა. მთელი დღეები სოფლის საქმეებზე ტრიალებდა, ყველას ჭკუას არიგებდა და მის არამკითხეობის კირთებს ქვეშ ყველა გმინავდა. ციციკორე წუთს არ ტოვებდა, რომ არ განეკითხა, არ დაესუსხა თანასოფლელები, თუმცა ეს რამდენადმე ალბათ თანასოფლელთა სისუსტით იყო გამოწვეული. ისინი უარს ამბობდნენ გადაწყვეტილების მიღებაზე, არც ვინმეს ან რაიმეს წინაშე გრძნობდნენ თავის წილ პასუხისმგებლობას. ასე რომ, სოფელმა თვითონ გამოძერწა ციციკორე, თუმცა საბოლოოდ თვითონვე უარჰყო თავისი ქმნილება, რადგან დროს ხანდახან დამოუკიდებლად მოაქვს პროგრესი. ციციკორეს დრომოჭმული დამოკიდებულებები კი ახალი დროისთვის უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა, რაც საბოლოოდ ციციკორეს დეგრადირების მიზეზი გახდა.

ფასეულობათა ცვლა გარდაუვალი პროცესია, ასე რომ ადრე თუ გვიან საზოგადოებაში აუცილებლად გამოჩნდება მავანი, რომელიც ახალ ღირებულებებს და მათ მნიშვნელობას დაგვისახავს. სწორედ ეს მისია იკისრა გარსიამ, „ახალმა ადამიანმა“, რომლის წინაშეც ციციკორე უმწეო აღმოჩნდა. ცხადია კარგია ძლიერი ლიდერის ყოლა, თუმცა თუ ლიდერი ფიქრობს, რომ გამართლებულია სისტიკე იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ იცავენ წესებს. ამას, მისი აზრით, დიდი სარგებელი მოაქვს საზოგადოებისთვის და ასვე შეიძლება ხანდახან საბედისწერო აღმოჩნდეს ამგვარი დამოკიდებულება, როგორც ეს მარიტას შემთხვევაში მოხდა.

„დამშრალ სულებს მაღალი საზრდო არც აქვთ, კაცმა რომ თქვას აღარც სჭირდებათ! ამიტომაც მისაწვდომი საკბილო გამოუნახავთ და თავისივე მოყვასის თრევა-აგდებით „ილამაზებენ“ წუთისოფელს!“ (ლეონიძე გვ:324). სწორედ ასეთია ბრბო, რომელსაც თავის საკბილოდ გიორგი ლეონიძის მოთხრობის „ნატვრის ხის“ ერთერთი პერსონაჟი ფუფალაც გაუხდია და განწირული ბერიქალა ხალხისგანაც საცინლად აგდებული გაუხდია.

და მაინც როგორ არ დაინდობს ზოგიერთს ცხოვრება. თითქოს ფუფალა ეზედმეტება წუთისოფელს. მას ამ ქვეყნად არავინ ჰყავს. სილამაზესაც მიუტოვებია, არადა ოდესღაც კი ამ სილამაზისთვის უწოდეს „ფუფალა“.

ფუფალას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი მწარე ბედი. ხვდებოდა რომ მოხრეკილი საწუთროსა და უდაბნო გულის გარდა არაფერი გააჩნდა, არც თანამგრძნობი არც თანამლმობი არც სახლ-კარი, არც დამმარხავი.

ფუფალას ტრაგიკულ ხვედრს ისიც ამძაფრებს, რომ მას დამტირებელიც კი არა ჰყავს. ამიტომაცაა, რომ უთვისტომოდ დარჩენილი ფუფალა თანასოფლელ ნინუცას ეხვეწება, ნამდვილი ცრემლით, გულის ატირებით ლოყის ჩამოხოკვით დაიტიროს. ემუდარება რომ სიტყვა მისცეს, როცა მოკვდება თმას გაიშლის, შავს ჩაიცვამს და მის კუბოზე დაახლის თავს. ყოველივე ეს ნათელს ხდის ფუფალას პერსონაჟის შინაგან

სამყაროს, თუ როგორ ენატრება მის გულს თანამგრძნობი, თანამლმობი, თუ როგორი მარტოსულია ის ამ სამყაროში.

ფუფალას პიროვნული ტრაგიზმი თითქოს სოფლის შარაზე თავშეყრილ თანასოფლელთა სულში ადამიანურ გრძნობებს აღვიძებს. ფუფალას საცოდაობით შეწუხებულმა სოფლის დედაკაცობამ ცრემლი გაშალა. ეს ის დედაკაცობა იყო რომლებსაც ავტორი თვალყბედ, ჭორელ, ქაქანა ქალებს უწოდებს. ქვეეყნიერების ყველანაირი ენა სულ იყო შენაჯგუფარი: ენამძლე, ენაგესლი, ენაქლარცი, ენამორბედი, უკლიტო ენა, ენამუხლმალი, ენა გაბნეულ-გამობნეული, სახრიკო ენა, ენამრე, ენაწყლინაყია, ენაქუხილი, ენამახვილი, ორენა, ორკაპა ენა, ენატლეკია, ენაჭრიჭინა. კიდევ ვინ იცის? რას არ იტყვის დაუყენებელი ყბა!

და ასე ჭეშმარიტი მკითხველის თვალწინ წარმოდგება ალბათ, სანახავად ყველაზე ამაზრზენი, დედაკაცთა ბრბო, რომლებმაც წამოანთხიეს გულის ღარღლი, დაღერღეს ყველა, დაასახიჩრეს, დააჩინჩხვარეს, მტვერი აადინეს! აქვე იყვნენ რჩეულნი და რამდენადმე წინამძღოლნი დალაის ცოლი, რომელიც სალაყბოზე, სხვათა განწილვა-განქიქებაში, ყველაზე მეტად ბასრობდა - ენით მქლეშელი „ქარცეცხლა“. მისთვის მთელი ქვეყანა მოუწონარი იყო. არ მის ნებაზე გაჩენილი სამყაროს მიმართ ამბოხებულს ყველა ათვალული ჰყავდა კბილგასაკრავად.

აქვე იყო ბაბალეც, რომელიც მას ბანს აძლევდა. ის თითქოსდა დიდი სინაზით გთხოვდა, არ გაგეცა მისი უდიდესი საიდუმლო და მისივე წყალობით ყველა თანასოფლელმა იცოდა დიდი რუდუნებით „შენახული“ და „დამალული“ ამბავი. ჭორელებმა ყველაფერი გააბათილეს, გადააბრუნეს და თითქმის აკლდებოდათ ჭორის მარაგი რომ სოფლის შარაზე ბერიქალაც გამოჩნდა. თავისი დაზაფრული ბედით სხვებიც დაზაფრა და და თან როგორ, ასეთ უსულგულო დედაკაცობას ცრემლი მოადინა და ჩაკლული ადამიანობა გაუცოცხლა. სტიროდა ნინუცაც შინ წაყვანაც დააპირა, თუმცა ხეპრე ქმრისა ეშინოდა, ნინუცა ფიქრობდა: ორივეს კარში გამოგვყრის, გაიჯეჯილებს სად მაქვს მაგის შესანახი ლუკმაო. თუმცა შინაგანი

თანაგრძნობის დონეზე მიაღწია ნინუცას გონში ზნეობრივმა სიწმინდემ და რეალობას დაბრუნებულმა კიდევ ერთხელ მიესაყვარლა ფუფალას ბოდიშით. ნინუცას თავისთავში ვერ ეპოვნა ძალა რომ მოიქცეს მორალურად, ღვთისნიერად პიროვნების წინაშე. რამდენადმე სოფელი კიდევ ერთხელ ირგებს ბრბოს სახეს იმდენად რამდენადაც ვერ გრძნობს მორალურ ვალდებულებას ფუფალას, მარტოდდარჩენილი ბერიქალას წინაშე, რომ ლუკმა-პური, თავშესაფარი გაუყოს და უბრალოდ პირნათლად უგულშემატკივროს.

აღსანიშნავია თვითონ ფუფალა, როგორც ძლიერი ხასიათის მატარებელი პიროვნება. აღსანიშნავია ასევე მისი პიროვნების ორბუნოვნება - ტრაგიკულობა და კომიკურობა. ფუფალას პერსონაჟში რამდენადაც პარადოქსი არ უნდა იყოს სიცილი და ტირილი ერთად იყრის თავს. რაც მის გარეგნობაში მჟღავნდება ნამდვილად სასაცილოა „სატირალი რომ არ იყოს“. ფუფალას გარეგნობას ავტორი ოსტატური დაწვრილმანებით აღწერს: „არაფრისად ეცვა, სხვადასხვა ამხიარული, ჭყეტელა ნაჭრებისგან შეკერილი კაბა, ცალი ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა, მეორეთი ჭრელი ბოღჩა. ძველებური შავი თათმანი ეცვა ხელთ და ადამის ხნის დაგლეჯილი მაღალქუსლიანი ჩაღილული, ყელიანი ფეხსაცმელი.“ (ლეონიძე, გვ:103)

იმ დედაკაცებს, რომლებმაც ფუფალას გამოჩენაზე ერთხმად დაიძახეს - რამდენი ხანია არ გამოჩენილა, სად არის გადაქინძული? აჰა გინდ ეგეც განთქმული მზეთუნახავი, ახლა საფრთხობელას დაემსგავსა. ლურჯთვალა გოგო ამატებს - როგორ იქნებოდა მზეთუნახავი? სახე თონეში შემწვარ ვაშლს მიუგავს. თუმცა ახლოს მოსულ ფუფალას სილამაზეს ხოტბას ასხამს ნინუცა. ფუფალამ შეიფერა თავი ამაყად გადასწია და სულ თვალწინ დაუდგა წარსული სილამაზე: - მართლაც ლამაზი ვიყავი! სწორედ ვარდს ვგავდი! -ალქალას, ოქროქალას, თვალჟუჟნას მეძახდნენ. ფუფალას ეამაყებოდა რომ მიმჭკნარი ვარდი იყო, მაინც ვარდი ერქვა. თვალადი, ტანადი, მაგრამ შიოლას შევაწირე ყმაწვიკქალობა.

და აი ისიც ფუფალას მოზღვავებულ თაყვანისმცემელთა მთავარი სახე - შიოლა, რომელიც არავინ იცის ფუფალას გამონაგონი იყო თუ სინართლე, თუმცა სწორედ რომ მისი წარსული სილამაზე და შიოლას უსაზღვრო სიყვარული იყო ფუფალას სიძლიერე, სიამაყე ის რაც აძლებინებდა წუთისოფელში, ის რაც ახლაც ღირსეულს ხდიდა, თავისთავადობას და ადამიანობას აგრძნობინებდა. ფუფალას თქმით ის შიოლას ორმოცი წლის წინათ უყვარდა. შიოლა გმირი იყო, მდიდარიც, ლამაზიც, მაგრამ ფუფალას არ უყვარდა თურმე. პირის მარგალიტნი ეყიდნა ფუფალასთვის, ოქროს ჯაჭვიც, ლალის საყურე ბეჭედი, თუმცა შიშით ვეღარ გაუგზავნია მისთვის. და მაინც ფუფალა თავის გამოგონილ სამყაროში ცხოვრობს, არავის არაფერს უშავებს, უწყინარი ადამიანია. ერთადერთი ბრაზს თუ გამოხატავდა, ისიც გაფითრებულ-გაცეცხლებული სიტყვით შელანძღავდა დამცინავსა და გამამწარებელს. „ფუფალას“ მთელ ტექსტს ლაიტმოტივად გასდევს ამ გმირის მარტოსულობა და ამასთანავე შინაგანი სიამაყე, რაც აძლებინებს ფუფალას ამ წუთისოფლის გოლგოთას მომაკვდინებელ გზაზე სიარულს.

ფუფალას ნუგეში მხოლოდ მისი ხელობაა, რომელიც თავის გასატანად გამოუგონია. ვითომდა ექიმბაშობდა სოფელში, სამაგიეროდ კი ლუკმა-პურს ითხოვდა.

ბრბოს ფსიქოლოგიამ თავისი ქნა დედაკაცებში - ერთ-ერთმა, რომელსაც ქარცეცხლას ეძახდნენ ფუფალას საიდუმლო გათქვა, რომ სულ ფუფალას მოგონილია შიოლა ის არც ყოფილა ამ ქვეყანაზე და არც არავის უნახავს... იმ ჭრელ ბოხჩაში წამლების ნაცვლად ფერუმარილი აქვს ჩალაგებული, რომელსაც ყოველ დღე სახეზე ისვამს სილამაზის ნაკვალევის შენარჩუნების იმედით. ამიტომაც ფუფალას მატყუარას უწოდებდენ და ვიშვიშებდნენ. ლურჯთვალა და პირბალიშა ზეიმობდნენ. ყველაზე მეტად ფუფალას მწვალებელი კიტრიპარი ბიჭი ხტოდა. „სოფლის ბრბოს ყოველთვის აქვს მხიარულება“(გამონათქვამები ბრბოზე) აქაც ყველას ერთად უხაროდა ფუფალას მხილება, თითქოს, ეს მათ რამეს შეჰმატებდა. ასე მომზადდა ხვალისთვის ახალი

გოლგოთა, ახალი ჯვარცმა ფუფალასთვის, რომელიც დღეს ორღობის მოსახვევში მიდიოდა.

გაცემული როგორც მატყუარა მაგრამ საკითხავია ვისი მატყუარობა იყო უფრო ცოდვიანი და ვისი გამცემლობა მადლიანი. განა მართლა ცოდვიანი იყო ფუფალას ტყუილები? ტყუილები, რომელიც არა სხვის მოსატყუებლად, არამედ საკუთარი ცხოვრების გასალამაზებლად, გასაფერადებლად მოუგონია და თვითონაც ღრმად სჯერა თავისი გამონაგონის სიმართლე. აი, რაც შეეხება სოფლის დედაკაცობას, მათ სული აქვთ დაკარგული. სული რომელიც სავსე უნდა იყოს რწმენით, სათნოებით, სიყვარულითა და სიკეთით, სული რომელშიც ჩაუმქრალი სანთელივით უნდა ენთოს თანამოძმის, მოყვასისა თუ სხვა ადამიანის სიყვარული. მათი სულები დანაგვიანებულა ყოველგვარი ბოროტებით. თვალის მოხუჭვაც საკმარისი აღმოჩნდა ფუფალას გულშემატკივრობით აღსავსე გული და მომტირალე დედაკაცობა ქარცეცხლას ნაჭორალზე ისევ უსახურ ბრბოდ გადაქცეულიყო, მაგრამ ბრბოც ხომ ეგ არის, როგორც გუსტავ ლე ბონი წერს თავის „ბრბოს ფსიქოლოგიაში“ – „კულტურული ადამიანიც ბრბოში ბარბაროსად გადაიქცევა“ (http://medialiteracy.ge/uploads/resources/105873864a4db33.pdf).

თუმცა შესაძლოა იქცეს ბრბოს მსხვერპლად როგორც ფუფალა. და მაინც მსხვერპლად ყოფნა სჯობს პიროვნულობის, საკუთარი იდენტობის დაკარგვას. ფუფალას თავისებურად თუმცა მაინც შეიძლება ვთქვათ რომ არ აკლია არც აქტიური ბრძოლა და არც თვითმყოფადობა, რაც ამ გმირს გამოარჩევს სხვებისაგან.

„არამც თუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყენია მართებულის კაცისათვის!“ (https://temurkikava.wordpress.com/2013/12/30/%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%90-%e1%83%ad%e1%83%90%e1%83%95%e1%83%ad%e1%83%90%e1%83%95%e1%83%90%e1%83%ab%e1%83%94-%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%97/) ქართულ ენაში კი ქალიც და კაციც რომ კაცია, კარგად ვიცით (დედაკაცი, მამაკაცი).

სწორედ რომ მართებული დედაკაცი იყო ფუფალა როცა მეტოქის სილამაზის ხოტბა იწყინა. ისიც არაგულწრფელი, უმართლო გადამეტფასებული. თუმცა უმართებულო დედაკაცების ხროვა იყო ფუფალას წინაშე, რადგან ფუფალასთვის რომ ყოველ მათგანს იგი სიეთე ექნა რის შემძლებიც იყვნენ, ფუფალა და სხვა მისი მსგავსნი უბედურნი აღარ იქნებოდნენ.

უღონობა მხოლოდ სიღატაკე და სიდუხჭირე არ არის, როგორც ახლა ბევრს ჰგონია. არამედ უფრო ისა, როცა სათნოებანი, კეთილმოქმედი, მაღალზნეობის სული არ აქვს კაცს. არც ამ დედაკაცებს ებადათ ასეთი სული. შემნახველი და გამდიდებელი ადამიანის სულისა მარტო სიკეთეა. მხოლოდ კეთილი და სათნო კაცი იშენებს ტაძარს სულში, სადაც ღმერთს ადიდებს, სადაც ადამიანის ბედნიერება სამოთხედ ქცეულა და ამ სამოთხეს სხვებსაც უწილადებს.

დასკვნა

სამყაროში ყველაზე დიდი სიკეთის პარალელურად, ყველაზე დიდი ბოროტების მატარებელი არსებაა ადამიანი. არსება, რომელიც უფლის ხატება და მსგავსებაა, წამში შეიძლება იქცეს ეშმაკის მოციქულად. უკვე დიდი ხანია რაც ადამიანი გამოვიდა პირველყოფილური რეალობიდან და დაადგა პიროვნებად ჩამოყალიბების გზას. თუმცა როგორც რეალობა გვიჩვენებს, ეს ძალიან რთული გზა

აღმოჩნდა. ნებისმიერ წამს, ნებისმიერი ადამიანში არსებობს საშიშროება, დაუბრუნდეს ცხოველურ საწყისებს. ამის ნათელი მაგალითები გვხვდება როგოც ლიტერატურაში ასევე რეალურ ცხოვრებაში. გადის მრავალი საუკუნე და ზოგიერთ ადამიანში მიჩქმალულად, ზოგიერთში კიდევ უფრო მიჩქმალულად, თუმცა ყველაში მაინც არსებობს ბოროტი, ბარბაროსული, ცხოველური, მავნებლური, მწვალებლური საწყისები. ამ ყველაფრის აღმომფხვრელი, როგორც ჩანს, ვერც ცივილიზაცია, ვერც თანამედროვე განათლება თუ ცოდნა ვერ გახდა. აკაკი წერეთელი წერს: „მაგრამ მხოლოდ წვრთნა რას უზამს თუ ბუნებამ არ უშველა“. ვერც ესოდენ დიდი პოეტი ასახავს სრულად ადამიანის ქცევის ჭეშმარიტ ბუნებას, რადგან როგორც განხილულ ნაწარმოებში ვნახეთ ვერც წვრთნა და ვერც ბუნება ვერ ხსნის ადამიანნის ქცევის ჭეშმარიტ არსს.

ალბათ, სინამდვილეში ყველა ადამიანში გაერთიანებულია ორი საწყისი - ბოროტებისა და სიკეთისა. წინასწარ კი არავინ იცის რა იქნება ადამიანისდ ქცევის განმსაზღვრელი ვითარება. ალბათ ყველა ჩვენგანში სძინავს ბოროტებას და ელოდება როდის შეიქმნება სათანადო სიტუაცია რომ გამოფხიზლდეს და წალეკოს ყველა. მოცემული პრობლემა ყველა დროისა თუ სივრცის აქტუალური პრობლემაა. ალბათ, ამ პრობლემის მოგვარება, მეტ-ნაკლებად, თავისუფალ საზოგადოებაში შეიძლება, სადაც უფრო მარტივია ადამიანი იქცეს პიროვნებად, სადაც ადამიანი საკუთარ რელიგიურ თუ სექსუალურ და სხვა იდენტობას თვითონ განსაზღვრავს. თავისუფალ, დემოკრატიულ, პროგრესულ საზოგადოებაში პიროვნება თავად განსაზღვრავს თავის როლს, თავის ქცევას და ა.შ. ასეთ საზოგადოებაში ადამიანები პატივს სცემენ როგორც თავიანთ ასევე სხვების შეხედულებებსა და არჩევანს. ასეთი საზოგადოებისათვის ის ტრადიციები და ღირებულებებია ძვირფასი, რომელიც ადამიანის თავისუფლებას და კეთილდღეობას უზრუნველყოფს. ასეთი საზოგადოება უპირისპირდება მავნებლურ, პიროვნების მჩაგვრელ ტრადიციებს და ქცევებს. ასეთი საზოგადოება აანალიზებს თანასწორობის პრინციპს და პატივისცემით ეპყრობა სხვებს. ასეთმა საზოგადოებამ იცის რომ „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“

(საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 16) ვინაიდან განვითარებაში მოიაზრება ქცევაც, ასეთი საზოგადოება მზადაა წინააღმდეგობის გარეშე მიიღოს სხვისი განსხვავებული ქცევა თუმცა აქვე აღვნიშნავ რომ ნებისმიერი ადამიანი უნდა ეცადოს აკონტროლოს საკუთარი სურვილები და ქცევები იმდენად რამდენადაც თავისუფლება ნიშნავს სწორედ საკუთარი თავის თვითკონტროლს. თავისუფლება ნიშნავს გაიგო რომ სადაც შენი თავისუფლება სრულდება იქ იწყება სხვისი და არ გაქვს უფლება სხვისი თავისუფლების, სხვისი კომფორტის დარღვევის ხარჯზე იყო თავისუფალი. ბრბო გააქტიურებას იწყებს სწორედ მაშინ როცა სხვისი თავისუფლების, სხვისი კომფორტის მოუფრთხილებლოა იჩენს თავს.

აღსანიშნავია ქცევის ორბუნებოვნება - ქცევა, რომელიც ემსახურება სიკეთეს და ქცევა, რომელიც ემსახურება ბოროტებას. ადამიანის გაჩენა და ქცევის არსებობა სამყაროში პარალელური მოვლენებია. შემდეგ ადამიანის ცნობიერებას თავისთავად გაუჩნდა მოთხოვნილება საერთო უფლებებისა და წესების გაჩენის მიმართ რაც ალბათ, რამდენადმე დააბალანსებდა საზოგადოებრივ ყოფას.

ცხადია, ადამიანის უფლებების საყოველთაო აღიარებისკენ სწრაფვა მეტად მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯი არის კაცობრიობის ისტორიაში. ეს ყველაფერი რამდენადმე არის თავისუფლების სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის წინაპირობა. მაგრამ უძველესი დროიდან დღემდე რეალობა მაინც ასახავს ისეთ ფაქტებს სადაც კანონით მინიჭებული უფლებებიც და პარალელურად ადამიანიც მაინც არღვევს სხვის უფლებებსა და თავისუფლებას. ბრბოს ფსსიქოლოგია ისევ მუშაობს ადამიანებში. ვერც სახელმწიფო კანონებმა ვერ უზრუნველყო მსოფლიო სიმშვიდე და ადამიანთა ჰარმონია.

ისტორიას თუ გადავხედავთ უამრავ ფაქტს შევხვდებით, სადაც პიროვნება უკონტროლო ბრბოს მსხვერპლი გახდა, თუნდაც ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციას მხოლოდ იმიტომ ვერ გადაურჩა რომ „დედამიწა ბრუნავსო“ ამტკიცებდა. ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ ფერად კანიანი ადამიანები მონებად ჰყავდად ამერიკაში და რომ

არა აბრაამ ლინკოლნი არავინ იცის რა ბედი ეწეოდა აფროამერიკელებს. ჯერ კიდევ ბიბლიურ ისტორიებში ვხვდებით ბრბოს ფენომენს და ალბათ, რაც ევა გაჩნდა და დედამიწაზე ერთზე მეტმა ადამიანმა დაიწყო არსებობა გაჩნდა ბრბოს ჩანასახები და მავნებლური ქმედებებისკენ ლტოლვა იმ დღიდან მოყოლებული ბრბოს ფსიქოლოგია მუშაობს ყველგან და ყველა დროში.

როგორც განხილულ ნაწარმოებებში ვიხილეთ, ბრბოს ფსიქოლოგიამ სოფელსა თუ ქალაქში ერთნაირი სისასტიკით გაწირა არჩეული მსხვერპლი. ერთნაირი დაუნდობლობით გაწირა დამნაშავე თუ უდანაშაულო მაგრამ ერთი კი ცხადია ყველა შემთხვევაში დაარღვია უფლის ცნება „არა კაც კლა“ (ათი მცნება 6) თუმცა ბრბო ჯერ კიდევ მაშინ ბობოქრობდა ადამიანების სულებში როცა უფალი სინას მთაზე მოსეს ათ მცნებასა და სხვა წესებს აუწყებდა. ვიდრე მოსე 40 დღეს მთაზე იმყოფებოდა, ხალხი მოუთმენლობამ შეიპყრო და კერპად ოქროს ხბო ჩამოასხა (https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90). კერპის ჩამოსხმა, ცხადია ბრბოს ფსიქოლოგიის შედეგი იყო. რაც შეეხება ცოდვა, კაცის მოკვლის შესახებ არა მარტო ნაწარმოებებში გამოყვანილ ბრბოს არამედ მათი ავტორების მკვლელებსაც მიუძღვით. ილია ჭავჭავაძე ცხადად მოკლეს თუმცა ისეთივე სიმძიმის ცოდვაა სიკვდილით დასჯაც რაც მიხეილ ჯავახიშვილს აწვნიეს საბჭოთა ჯალათებმა. აქვე აღვნიშნავ რომ ჰუმანურ და სამართლებრივ სახელმწიფოში შეუძლებელია არსებობდეს სასჯელის ამგვარი სასტიკი ფორმა.

ცხადია ბრბოს ფსიქოლოგიაზე საუბარი ამოუწურავად შეიძლება ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თემასთან მიმართებაში ქართულ ლიტერატურაში ილიაზე, ჯავახიშვილსა თუ ლეონიძეზე არანაკლებ მნიშვნელოვანი მწერლების განხილვა შეიძლებოდა. თუმცა, ალბათ, რამდენადმე მოცემული ოთხი ნაწარმოების განხილვაც საკმარისია იმისთვის, რომ ბრბოს ამაზრზენი სახე და მისი გამოძახილი ვეძიოთ თანამედროვეობაში. ასევე აღსანიშნავია, რომ მოცემული ოთხი ნაწარმოების საერთო

განხილვამ მოგვცა საშუალება გვეგრძნო - რამდენად ათანაბრებს ბრბო მდიდარსა თუ ღარიბს, მახინჯსა თუ მშვენიერს, ქალაქელსა თუ სოფლელს. კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ბრბოს წევრი თუ მისი მსხვერპლი ნებისმიერი შეიძლება აღმოჩნდეს მიუხედავად სქესისა, წოდებისა თუ სხვა რომელიმე ნიშნისა. ბრბო არის ის შემთხვევა როცა პიროვნება კარგავს იდენტობას და ბრბოს საშინელ, ცოდვიან ნიღაბს ირგებს. როდის და სად დაკარგეს „სარჩობელას“ ავტორის მკვლელებმა პიროვნული სახე? 1907 წლის 30 აგვისტოს, წიწამურთან მაშინ როდესაც თოფმა იქუხა და ილია წაართვა საქართველოს... სად დაკარგეს სარჩობელას გმირებმა ადამიანობა და ეზიარეს ამაზრზენ სისასტიკეს? - ქალაქის მოედანზე, სადაც პატარა ბიჭს სარჩობელაზე ხელი არამარტო ჯალათმა არამედ მოედანზე შეკრებილმა საზოგადოებამ ერთად კრა. სად დაკარგეს მარიტას მსაჯულებმა სახე? ციციკორეს საბძელში, იქ სადაც ციციკორემ ყველა დაარწმუნა თავისი მკაცრი გადაწყვეტილების სისწორეში. როდის დაკარგეს სახე დათას მსაჯულებმა სახე? იმ წამიდან როცა დათას უწესო ქცევებით შეწუხებულ და აღშფოთებულ საზოგადოებს პირველად წამოცდა - ჩავქოლოთ... და სად დაკარგა ჩანჩურას სეირის მაყურებლებმა სახე, ეს ალბათ ისეთივე ამოუცნობია როგორც ჩანჩურას ნამდვილი ვინაობა, რადგან ბაზრის საზოგადოება ერთხელაც კი არ გვევლინება ზნეობრივი საქციელით ჩანჩურას მიმართ. როდის დაკარგეს ჯავახიშვილის მსაჯულებმა სახე, იმ დღიდან როცა ისეთი კავშირი შეიქმნა რასაც მეფის რუსეთი და საბჭოეთი ჰქვია.

„წიგნი იმისთანა რამ არის, სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს ქალაქისას კი სოფელში წაიღებს; საიდგან სად კაცს კაცთან გაალაპარაკებს“ (ჭავჭავაძე, 2012:177) მართლაც რომ მოცემული ოთხი ნაწარმოების განხილვამ მოგვცა საშუალება ბრბოს ხასიათი და მისი მუშაობის ხარისხი გვეხილა სხვადასხვა დროში, სივრცესა თუ საზოგადოებაში, ნათელი გახადა ის ფაქტი, თუ როგორ და რამდენად ათანაბრებს ბრბო მდიდარსა თუ ღარიბს, მახინჯსა თუ მშვენიერს, ქალაქელსა თუ სოფლელს. დაგვიმტკიცა, რომ ბრბოს წევრი ან ბრბოს მსხვერპლი ნებისმიერ წამს ნებისმიერი შეიძლება აღმოჩნდეს, მიუხედავად სქესისა, წოდებისა თუ სხვა ნიშნისა.

ბრბო არის ის შემთხვევა, როცა სახედაკარგულ პიროვნებაში იღვიძებს ახალი არსება, რომელსაც აქვს ილუზია თითქოს სასტიკი დამნაშავე კი არა სამართლიანობის დამცველია. და როგორც ჭეშმარიტ სამართალდამცველს შეეფერება, ისე ბოლო წვეთამდე შემართებით ცდილობს, აღადგინოს დარღვეული სამართალი. რაოდენ პარადოქსადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ეს, მართლაც ასეა ბრბოსა და მის მსხვერპლს ორივეს თავისი სიმართლე აქვს, იმ განსხვავებით რომ ბრბოს თავისი სიმართლისა თუ სამართლის დაცვა სულის წარწყმედისკენ მიაქანებს, მის მსხვერპლს კი ფიზიკური განადგურებისკენ. თითქოს ამ უკანასკნელთ შორის ხიდი ჩამტყდარა, ერთ მხარეს სახედაკარგული საზოგადოება დარჩენილა, მეორე მხარეს კი - პიროვნება. ამათ სამართალს კი ცალკ ცალკე ღობე ავლია. კარგი მკითხველი კი ნათლად დაინახავს რომ საზოგადოებას და პიროვნებას გული გულისათვის ვეღარ მიუკარებიათ, მათი რეალობა კი სოციალური დრამა გამხდარა, რომელიც დღემდე დგას მკითხველის სამსჯავროზე და ელოდება ჭეშმარიტ სამართალს, ელოდება მას ვინც გადაარჩენს ბრბოს სამარცხვინო მარწუხებისგან.

ალბათ, ნამდვილი მკითხველი და კრიტიკოსი მიხვდება მას რომ ისეთი მიამიტი პიროვნებები როგორიც სოფიო და ბებერი პეტრეა შეიძლება მართლაც დარჩენილა გაღმა ნაპირას იქ სადაც ბრბოა თუმცა ნამდვილად არ არიან იმ ღობის შიგნით სადაც ბრბოს ფსიქოლოგიას ბოლომდე წაურწყმედავს ადამიანთა სულები. მათ ჯერ კიდევ არ განუცდიათ ბოლომდე დეინდივიდუალიზაცია, ეს კი რამდენადმე იმედსაც კი გვაძლევს, ჩატეხილი ხიდის აღდგენისა და სიკეთის ბოროტებაზე, სიყვარულის სიძულვილზე, გამარჯვებისას. რაც შეეხება უშუალოდ ნაწარმოებებს, იმას თუ თითოეულ მათგანში როგორ მუშაობს ბრბოს ფსიქიკა, თითოეული მათგანი რამდენდ ასახავს ქართული პროზის სამართალს. საჭიროა, მოცემულ ნაწარმოებებს შორის პარალელების გავლება და განსხვავებების ძიება...

აი მაგალითად, საინტერესო და დასაფიქრებელია - ბრბოს სამართალის მსხვერპლნი რამდენად ჰგვანან ერთმანეთს? მოცემულ ნაწარმოებებში და საერთოდ

მსხვერპლი ყოველთვის იმსახურებს ნამდვილ თანაგრძნობას თუ ზოგჯერ მკითხველს უჩნდება განცდა - ღირსი იყო (მკითხველიც ხომ ადამიანია, რომელიც არ ერიდება ისეთ ცოდვიან საქციელს როგორიც სხვისი განკითხვაა). ვფიქრობ დასმული საკითხები მართლაც დასაფიქრებელი და საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მოცემულ ნაწარმოებებში მსხვერპლნი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ტიპები არიან. ერთი მხრივ, სოფლის მზეჯვარა მარიტა თავისი ღვთაებრივი მშვენიერებით; მეორე მხრივ, პიროვნებად ვერშემდგარი, მახინჯი ჩანჩურა; მესამე მხრივ, ქურდი და მკვლელი მგლის ლეკვი დათა, მეოთხე მხრივ, სარჩობელას შეწირული ყმაწვილი. ამ ადამიანებს თითქმის არაფერი არ აქვთ საერთო გარდა იმისა, რომ უცებ მოვარდნილ ტალღასავით ბრბოს სამართალს შეეწირენ. მათ განასხვავებს მკითხველის დამოკიდებულებაც, აი თუნდაც მარიტას მიმართ არ იტყვის მკითხველი უნდა დაესაჯათ თუ არა ის თანასოფლელებს?

დათას მიმართ კი ეს საკითხი იქცევა განხილვის საგნად. შემდეგ კი ცდილობ, იპოვო პასუხი რომელი დანაშაული უფრო საშინელია დათას მიერ ქალის მოკვლა თუ ხალხის მიერ ჩადენილი დანაშაული დათას მიმართ. ამისთვის შეიძლება კიდევ ერთხელ კითხულობ „ეშმაკის ქვას“ და აცნობიერებ რომ აბეზარი, შურიანი, ბოროტი, ქურდი და მკვლელი დათა, რომელიც ალბათ, მხოლოდ საკუთარ დედას ეცოდება, უმიზეზოდ არა მაგრამ მაინც კაცთა მოდგმის უსამართლო გადაწყვეტილების მსხვერპლი გახდა. თანასოფლელთა დათას ამ ფორმით დასჯის გადაწყვეტილებამ დათასთან ერთად უკეთილშობილესი სოფიოც აქცია როგორც ბრბოს წევრად ასევე მსხვერპლად ისევე როგორც ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ ბებერი პეტრე იქცა თავისი მეამიტობით ჯერ ბრბოს წევრად შემდეგ კი მკითხველის თვალში ისეთივე მსხვერპლად ამაღლდა როგორც ჩამომხრჩვალი ყმაწვილი.

„ეშმაკის ქვაში“ და „ნატვრის ხეში“ ბრბოს ფსიქოლოგიის ამოქმედების მიზეზი შურისძიება გახდა, „ჩანჩურას“ შემთხვევაში უყურადღებობა და სხვისი გასაჭირის გულთან არ მიტანა, „სარჩობელაზედ შემთხვევაში“ ბრბო არაჰუმანურ წეს-

წყობილებიაზე მოწყობილ სახელმწიფოდან იღებს სათავეს, სადაც კანონი სიკვდილით დასჯას აღიარებს...

ვასრულებ ნაშრომს თუმცა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება როგორც ბრბოს ფსიქოლოგიის საწყისები, ასევე გამოსავალიც - ის თუ რა პრინციპებით უნდა იცხოვროს საზოგადოებამ, რომ ბრბოს სამართალი არ ამოქმედდეს, ის თუ მე ან სხვა როგორ მოვიქცეოდით თუ ასეთი შემთხვევის ადგილას აღმოვჩნდებოდით... ის თუ ვინ არის ნამდვილი დამნაშავე საზოგადოების ამგვარ ქცევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://socium.ge/downloads/protosocteoria/brbosa-da-elitis-teoria.pdf.

2. ქართველი მწერლები სკოლაში „გიორგი ლეონიძე“ „დია“

3. http://education.ge/index.php?do=definition%2Fview&id=1364&fbclid=IwAR1vCRftdCHfNJcV0_sThRPorKKpdOmeZ5A-PT0TH2bpfyL9GYDoXbOP6W0.

4. ქართველი მწერლები სკოლებში, „ილია ჭავჭავაძე“ I ნაწილი „საქართველოს მაცნე“

5. 50 წიგნი რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ „ილია ჭავჭავაძე“ “პალიტრა” L 2012

6. ჟურნალი „კარიბჭე“ - 27.01.2006

7. მიხელი ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან 1924-1993წწ

8. ქართველი მწერლები სკოლებში „მიხეილ ჯავახიშვილი“ II ნაწილი გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

9. https://seegull-jonathan.blogspot.com/2011/01/blog-post_5309.html

10. https://www.ttimes.ge/archives/107608

11. http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/95677-%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D-%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/2/

12. http://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=67&id=7337

13. ფრაგმენტები ქეთევან ჯავახიშვილის ინტერვიუდან „სანთელ-საკმეველი“ ჟ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, N3 1981

14. ქართველი მწერლები სკოლებში „მიხეილ ჯავახიშვილი“ I ნაწილი გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2010

15. http://www.herba.ge/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98

16 https://likunalika.wordpress.com/2013/11/18/%E1%83%91-%E1%83%A0-%E1%83%91-%E1%83%9D/

17. tbiliselebi.ge

18. მათე. 5,44

19. დაბ. 9.5,6

20. https://burusi.wordpress.com/2009/03/29/javakhishvili/

21. http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/skhvadaskhva/5431-saqarthvelos-mitsa-tsyalze-isethi-mukha-davrge-romlis-fesvebs-verasdros-aghmofkhvrith.html

22. https://burusi.wordpress.com/2009/09/20/giorgi-leonidze-3/

23. http://geolit.ge/dochavashvili/literatura4.htm

24. გამონათქვამები ბრბოზე -

http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/30036-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%94/106/

28. იოანეს სახარება 8.7

29. http://medialiteracy.ge/uploads/resources/105873864a4db33.pdf

30. საქართველოს კონსტიტუცია მუხლი

31. ათი მცნება

32.
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90

33. https://temurkikava.wordpress.com/2013/12/30/%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%90-%e1%83%ad%e1%83%90%e1%83%95%e1%83%ad%e1%83%90%e1%83%95%e1%83%90%e1%83%ab%e1%83%94-%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%97/